# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 15 ნოემბერი, 2012 წელი.

№220 (7096)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ბიძინა ივანიშვილი:

## რასმუსენმა აღნიშნა, რომ ნატო ახალი მთავრობის ყველა ნაბიჯს გაგებით და ნდობით მოეკიდება ②





## მერაბ ბერძენიშვილი

## დაუჯერებელი სინამდვილე ③

## სააკაშვილი კრემლის ყელში გაჩხერილი ძვალი იყო ④

## ⑤ აგდებულად ნუ მოვეკიდებით ქვეყნის სახეს!

## საქართველოს პრემიერის წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობაში: მოსკოვს საუბრის განახლებას ვთავაზობთ ⑧

## კოოპერაცია სოფლის აღორძინების ნაცადი, მძლავრი საშუალებაა ⑥-⑦





## ⑨ პრეზიდენტის მეხსიერებას ბინდი გადაეფარა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# ბიძინა ივანიშვილი: რასმუსენმა აღნიშნა, რომ ნატო ახალი მთავრობის ყველა ნაბიჯს გაგებით და ნდობით მოეკიდება



**ნატო ქართულ ჯარში არსებული ვითარების შესასწავლად სამუშაო ჯგუფის შექმნას საჭიროდ არ მიიჩნევს და საქართველოს ახალ მთავრობას ნდობას უცხადებს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ბრიუსელში, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

ივანიშვილის განმარტებით, რასმუსენმა აღნიშნა, რომ ნატო საქართველოს ახალი მთავრობის ყველა ნაბიჯს გაგებით და ნდობით მოეკიდება.

**„ორივე მხრიდან გამოვხატეთ მწუხარება იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოში განვითარდა. მხედველობაში მაქვს დაპატიმრებები. მე შევთავაზე გენერალურ მდივანს, ნებისმიერი ფორმით მიიღონ ამ პროცესში მონაწილეობა, რომ ყველაფერი იყოს გამჭვირვალე და გასაგები. ჩვენდა სასიამოვნოდ, ბატონმა რასმუსენმა მკვეთრი ნდობა გამოგვიცხადა, ეს არ ჩათვალა საჭიროდ და აღნიშნა, რომ ყველა ჩვენს ნაბიჯს გაგებით და ნდობით მოეპყრობა. ასეთი იყო მისი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით“,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ამასთან, საქართველოს პრემიერის განმარტებით, შეხვედრამ საინტერესოდ ჩაიარა და მასზე სხვა უამრავი საკითხიც იქნა განხილული.

**„საინტერესო შეხვედრა გვქონდა. მასზე კიდევ ერთხელ გამოიკვეთა, რომ საქართველომ 1 ოქტომბრის არჩევნებით ძალიან მნიშვნელოვანი ტესტი ჩააბარა, ძალიან საინტერესო გზავნილი მივეცით საერთაშორისო თანამეგობრობას და ნატოს წევრ ქვეყნებს. შესაბამისად, ბატონი რასმუსენისგან მივიღეთ დაპირება, რომ დეკემბერში დაგეგმილ საგარეო საქმეთა მინისტერიალზე, რომელზეც ჩვენი მხრიდანაც იქნებიან წარმომადგენლები, აუცილებლად გაკეთდება კარგი აქცენტი ამასთან დაკავშირებით და აღინიშნება, რომ საქართველომ არჩევნებით ძალიან დიდი გამოცდა ჩააბარა“,** — განმარტა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

გარდა ამისა, მისივე თქმით, შეხვედრაზე ნატოს სამხედრო კომიტეტის ვიზიტის გადადების გამო წუხილიც გამოთქვა, თუმცა გენერალური მდივნისგან დაპირება მიიღო, რომ ვიზიტი საქართველოში აუცილებლად შედგება.

ერთობლივ პრესკონფერენციაზე საქართველოს პრემიერმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ნატო, სამხედროსთან ერთად, პოლიტიკური სტრუქტურაცაა და პირობა დადო, რომ ახალი მთავრობა ინსტიტუტების დემოკრატიულობის განმტკიცებისთვის ყველაფერს გააკეთებს.

**„ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჭეშმარიტად განვავითაროთ დემოკრატიული ინსტიტუტები. ის პრობლემები, რაც რამდენიმე დღის წინათ შეიქმნა, ჩემი აზრით, დაკავშირებული იყო ზუსტად იმასთან, რომ ყოფილი ხელისუფლება, ჭეშმარიტი დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის ნაცვლად, ფასადური გამონათქვამებით კმაყოფილდებოდა და არ იყო საკმარისი გამჭვირვალობა საზოგადოებაში და მათ რიცხვში - ჯარის შენაერთებშიც. საქართველოს ახალი გუნდი ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჩვენი ყველა ქმედება გასაგები იყოს საერთაშორისო თანამეგობრობისთვის და ნატოსთვის. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ დასახულ მიზნებს მივაღწიოთ, საქართველომ უახლოეს მომავალში მოახერხოს და გახდეს ნატოს წევრი ქვეყანა“,** — აღნიშნა ივანიშვილმა და აქვე საქართველოსთვის გაწეული დახმარებისთვის პირადად ანდერს ფოგ რასმუსენსა და ნატოს სტრუქტურებს მადლობა გადაუხადა.

* * *

**ნამდვილი გამოცდა დემოკრატიისა არის ის, რამდენად შეუძლიათ სხვადასხვა ძალებს ერთად იმუშაონ ქვეყნის საკეთილდღეოდ , — ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

მისი თქმით, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან კონსტრუქციული და პოზიტიური შეხვედრა ჰქონდა.

**„საქართველო რჩება ერთგულ და ახლო პარტნიორად ნატოსთვის. თქვენ უკანასკნელ პერიოდში გააორმაგეთ თქვენი წვლილი ავღანეთში და უკვე შეუერთდით ნატოს მიერ დაგეგმილ მომდევნო, საკონსულტაციო მისიას ავღანეთში, რაც 2014 წლის შემდეგ ავღანური ჯარების გაწვრთნაზეა ორიენტირებული. თქვენ გაქვთ მისწრაფება, შეუერთდეთ ჩვენს ალიანსს. პრემიერ-მინისტრო, მივესალმებით თქვენს განცხადებას, რომ თქვენი მთავრობა ასევე მოწადინებულია, რათა ეს მოხდეს და გარწმუნებთ, რომ ნატოსაც სურს, ახლო ურთიერთობები ჰქონდეს საქართველოსთან. ჩვენი კავშირები მტკიცეა, ჩვენი დიალოგები კი უმაღლესი რანგისაა“,** — განაცხადა რასმუსენმა.

ნატოს გენერალური მდივანი 1 ოქტომბრის არჩევნებსაც შეეხო და აღნიშნა, რომ არჩევნები იყო თავისუფალი, სამართლიანი და დემოკრატიულ სტანდარტებს შეესაბამებოდა.

**„მოვუწოდებთ ყველა პარტიას, განაგრძონ ასეთი წინსვლა და მოახდინონ დემოკრატიული პროცესის კონსოლიდირება, რაც ნიშნავს კანონის უზენაესობის, კონსტიტუციისა და დემოკრატიული სტანდარტების პატივისცემას. მაგრამ ნამდვილი გამოცდა დემოკრატიისა არის ის, რამდენად შეუძლიათ სხვადასხვა ძალებს ერთად იმუშაონ ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამაზე სააკაშვილსაც ვესაუბრე. ორივეს მოგიწოდეთ, კონსტიტუციის ფარგლებსა და თანაცხოვრების პირობებში გეთანამშრომლათ ერთმანეთთან დარჩენილი თვეების განმავლობაში. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქართველი ხალხისა და საქართველოს მომავლისათვის“,** “ აღნიშნა რასმუსენმა.

მისივე თქმით, საქართველო დგას ნატოსკენ მიმავალ გზაზე და ის აუცილებლად გახდება ნატოს წევრი.

**„ჩვენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ერთგული ვრჩებით, მაგრამ წევრობა საჭიროებს მეტ შრომას, რეფორმებსა და კონსტრუქციულ თანამშრომლობას მთავრობის ყველა განშტოებას შორის. ამიტომ, მოვუწოდებთ ყველა პარტიას, მოძებნონ კონსენსუსი და იმუშაონ ერთად, რათა გააგრძელონ დემოკრატიული რეფორმები და მიაღწიონ უმაღლეს დემოკრატიულ სტანდარტებს. დარწმუნებული ვარ, რომ ქართული დემოკრატია ამ გამოცდას ჩააბარებს“,** — განაცხადა რასმუსენმა.

* * *

**ანდერს ფოგ რასმუსენი ბიძინა ივანიშვილს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ირგვლივ მიმდინარე მოვლენებზეც ესაუბრა.**

როგორც პრემიერთან შეხვედრის შემდეგ ერთობლივ პრესკონფერენციაზე ნატოს გენერალურმა მდივანმა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტის კითხვის პასუხად აღნიშნა, საკუთარი პოზიცია ამ საკითხზე ნათლად დააფიქსირა.

**„შეშფოთებული ვარ, თუ ეს პროცესები აღიქმება, როგორც პოლიტიკურად მოტივირებული. ეს საზიანოა ქვეყნის იმიჯისთვის, თუნდაც მართალიც არ იყოს. ეს არის ჩემი შეშფოთების მიზეზი. აი, რატომ არის უაღრესად მნიშვნელოვანი, რომ ასეთმა პროცესებმა კანონის უზენაესობის საბაზისო სამართლებრივი პრინციპების დაცვით ჩაიაროს, უზრუნველყოფილ იქნას სრული გამჭვირვალობა და სამართლიანი პროცესი. ეს განვაცხადე და პრემიერ-მინისტრმაც დამარწმუნა, რომ ყველაფერი ასე მოხდება. ამაზე დაყრდნობით ასევე ნათლად უნდა დავაფიქსირო, რომ ჩვენ არ ვაპირებთ ჩარევას მიმდინარე პროცესებში. ჩვენ გვჯერა, რომ ეს პროცესები ჩატარდება პოლიტიკური ჩარევის გარეშე და გაამართლებს კანონის უზენაესობის ფუნდამენტურ პრინციპებს“,** — განაცხადა რასმუსენმა.

აღნიშნული კომენტარი ნატოს გენერალურმა მდივანმა მას შემდეგ გააკეთა, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი დაინტერესდა, როგორია მისი შეფასება „მაუწყებელში მიმდინარე ფინანსურ რევიზიაზე, თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების ბრალდებების დამძიმებასა და გავრცელებულ ინფორმაციაზე სახელმწიფო დაცვის სამსახურის ხელმძღვანელის შესაძლო დევნის შესახებ“.

* * *

**ვწუხვართ, რომ ახალი ხელისუფლება იძულებული იყო, მსგავსი დაპატიმრებები განეხორციელებინა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ბრიუსელში ნატოს გენერალურ მდივანთან შეხვედრის შემდეგ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

ივანიშვილის თქმით, მისი პირადი პოზიცია ნატოს გენერალური მდივნის მოსაზრებას ემთხვევა და მიიჩნევს, რომ პოლიტიკური ანგარიშსწორება დაუშვებელია.

**„ჩვენც ვწუხვართ, რომ ახალი ხელისუფლება იძულებული იყო, მსგავსი დაპატიმრებები განეხორციელებინა. ჩვენ ვარწმუნებთ გენერალურ მდივანს, რომ ეს არ იყო პოლიტიკური დევნა. თუ მას მიეცემა პოლიტიკური დევნის ნიშანი, ეს ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს. ის, რომ ძველი ხელისუფლება ცდილობს, ამას მისცეს პოლიტიკური დაკვეთის ნიშანი, ეს მათი პრობლემაა და ეს იოლი დასამტკიცებელი არ იქნება, რადგან დანაშაული დამტკიცებული იქნება. ეს იქნება გამჭვირვალე პროცესი და ყველასთვის გასაგები იქნება. აბსოლუტურად იდენტურია გენერალური მდივნის და ჩემი პოზიცია, რომ არ უნდა მოხდეს პოლიტიკური დევნა და არ უნდა დაისვას მსგავსი კითხვები არც ქვეყნის შიგნით, არც ქვეყნის გარეთ. მე მივეცი ამის პირობა, რომ არ იქნება შერჩევითი სამართალი საქართველოში, მაგრამ სამართალი იქნება. ვინც დააშავებს და ვისაც აქვს კანონდარღვევა, ის აუცილებლად დაისჯება“,** — აღნიშნა ივანიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

**ინფორმაცია**

# ირმა ინაშვილს პროკურატურაში საჩივარი შეაქვს

**„ობიექტივის“ დამფუძნებელი ირმა ინაშვილი ტელეკომპანიისთვის წართმეული სიხშირის დასაბრუნებლად პროკურატურას მიმართავს. ამის შესახებ განცხადება ინაშვილმა გუშინ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გააკეთა. მისი თქმით, 35-ე სიხშირის დასაბრუნებლად პროკურატურაში საჩივარს შეიტანენ. 35-ე სიხშირეზე ამჟამად ტელეკომპანია „პიკი“ მაუწყებლობს.**

**მისი თქმით, სიხშირის წართმევასთან დაკავშირებით მარეგულირებელი კომისიის ყოფილი ხელმძღვანელების: დიმიტრი ქიტოშვილის, ირაკლი ჩიქოვანისა და გიორგი არველაძის პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად უნდა დადგეს.**

**„ჩვენ ვფლობდით 35-ე მარეგულირებელ სიხშირეს და ვგეგმავდით ახალი ტელევიზიის აწყობას, მე ვიყავი ამ პროექტის ხელმძღვანელი. ვარდების რევოლუციის შემდეგ დაიწყო ზეწოლა ამ ტელეკომპანიის ხელმძღვანელობასა და მესაკუთრეებზე. ზეწოლაში პირდაპირ იყო ჩართული მარეგულირებელი კომისიის მაშინდელი თავმჯდომარე დიმიტრი ქიტოშვილი, შემდეგ ეს ზეწოლები გააგრძელეს მარეგულირებელი კომისიის სხვა ხელმძღვანელებმა. ბოლოს კი ძალადობრივი გზით „ობიექტივს“ წაართვეს კუთვნილი ტელესიხშირე. მთელი 9 წლის განმავლობაში მე და „ობიექტივის“ ჟურნალისტები ვსაუბრობდით ამ თემაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, არ იყო სოლიდარობა ჩვენი კოლეგების მხრიდან, არც სამოქალაქო სექტორის მხრიდან, მაშინდელი ოპოზიციაც არ გვიჭერდა, სამწუხაროდ, მხარს. მე დღეს გადავწყვიტე მივმართო ახალ ხელისუფლებას. ჩვენ ხვალ შევიტანთ მთავარ პროკურატურაში საჩივარს და მოვითხოვთ, რომ „ობიექტივს“ დაუბრუნდეს კუთვნილი 35-ე სიხშირე, რომელზეც ამჟამად ტელეკომპანია „პიკი“ მაუწყებლობს“, — აცხადებს ინაშვილი.**




**ინტერპრესნიუსი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## დიდოსტატის სიტყვა



## მერაბ ბერძენიშვილი

# დაუჯერებელი სინამდვილე

**უპირველეს ყოვლისა, მინდა, ჩემი დამოკიდებულება გამოვხატო დღევანდელობაზე. ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა საქართველო იხსნა გადაგვარებისაგან, მისი ცხოვრების არსი სამშობლოს კეთილდღეობა ყოფილა. მან ეს ჭეშმარიტად დაამტკიცა. ვაშა! მის სიტყვის სიმტკიცეს, „ქართული ოცნების“ გამარჯვებას. სწორედ ეს გამარჯვება უძღოდა წინ ჩემს დღევანდელ საუბარს.**

სტატია ხელოვნებაზე მრავალგზის გამომიქვეყნებია, მაგრამ დარჩენილა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. შესაძლოა, ზოგი რამ განმეორდეს კიდეც, მაგრამ დღეს ვხედავ აუცილებლობას ვთქვა იგი, რადგან ხელოვნების მომავლის განვითარება საქართველოში ითხოვს შველას, სერიოზულ განსჯასა და ქმედებას.

როცა საქართველო განთავისუფლდა საბჭოური იმპერიისგან, როცა საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, ბუნებრივია, ნანატრი თავისუფლება ხელოვნებასაც უნდა შეხებოდა, მაგრამ „ნურას უკაცრავად“, განვლილ ბოლო წლებში ხელოვნება მოექცა არნახული წნეხის ქვეშ, იგი იქცა ხელისუფლების „ხელქვეითად“. გამეფდა მდარე ხარისხის ხელოვნება, ჭეშმარიტი ხელოვნება ნელ-ნელა უგულებელყოფილი იქნა. სწორედ ამან განაპირობა ის რომ, ამ ხნის მანძილზე სერიოზული და თვალსაჩინო არაფერი შექმნილა, გარდა სააკაშვილისებური „ნაფიქრალისა“, ტორტის მსგავსი არქიტექტურა, უგემოვნო ბიჟუტერიის მსგავსი ქანდაკება, მდარე საზეიმო სანახაობები და ფეიერვერკები.

ბოლო პერიოდში სააკაშვილის მოღვაწეობა და ქმედებანი, ემსგავსა მდინარიდან ამომხტარი თევზის საბედისწერო ხტუნვას, რომელმაც რაც უფრო მეტი იხტუნა, უფრო და უფრო დასცილდა წყლის კალაპოტს. მისი თავგასული უაზრო ქმედებები ყველა სფეროში, საწინდარი იყო ნაციონალური მოძრაობის, ანუ მისი ხელისუფლების პოლიტიკური არენიდან წასვლისა სამარცხვინო მარცხით არჩევნებში. მისმა თავდაჯერებულმა ქმედებამ დიდად დააზარალა ქართული ქანდაკება, რომლის დამფუძნებლებიც ბატონები იაკობ ნიკოლაძე და ნიკოლოზ კანდელაკია, ისინი ჩვენი თანამედროვენი იყვნენ. ასეთ მოკლე დროში ქართულმა ქანდაკებამ არნახულ წარმატებებს მიაღწია, ამ მხრივ ჩვენი ქვეყანა იმ სახელმწიფოთა გვერდით დადგა, რომლებსაც ქანდაკების დიდი ტრადიცია და მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება გააჩნიათ. დღეს საქართველოში დიდად ნიჭიერი მოქანდაკეებია. ძეგლების დასადგმელად ჩვენს მოქანდაკეებს უცხოეთში იწვევენ, რაც მეტყველებს ქართველ მოქანდაკეთა მაღალპროფესიონალიზმზე. საზოგადოება ამ მოვლენას ქართველი ერის გამარჯვებად აფასებს. ყოფილი ხელისუფლება საზოგადოების აზრს, როგორც ყველაფერში, არ იზიარებდა და თავად დაიწყო ძეგლების დადგმა, რომელიც ერთჯერადი ნივთის ხასიათის მატარებელია. ეს ჩვენში არსებული მანკიერება მონუმენტური ქანდაკებისადმი უნდა აღმოიფხვრას, ბოლოს და ბოლოს გარკვევით უნდა ითქვას, რომ ხელოვნების ნაწარმოების ავკარგიანობის მტკიცებაზე საუბარი, მისი სპეციფიკის ცოდნის გარეშე შეუძლებელია. ბოლო უნდა მოეღოს არაპროფესიონალიზმს, არაკომპეტენტურობას, ტელევიზორის ეკრანიდან დემაგოგიურ გამოთქმებს ქანდაკებაზე, მის მნიშვნელობაზე და მენტალურ ჭკუის სწავლებაზე, მით უფრო მათგან, რომელთაც პლასტიკურ აზროვნებაზე წარმოდგენა არ აქვთ.

მზის საათიდან, მისი გამოგონების შემდეგ, საათმა უთვალავი ფორმა და სახე იცვალა, მაგრამ მისი მნიშვნელობის არსი უცვლელი დარჩა, მან უნდა გვაუწყოს დრო! უხსოვარ დროში ადამიანმა გამოქვაბულის კედლები მოხატა, გვაუწყა ადამიანთა ყოფა და მშვენიერებისადმი ლტოლვა, პლასტიკის ენით დაამკვიდრა აზროვნება, საუბარი, რომელიც ახსნასა და თარგმნას არ საჭიროებს და დღესაც იმ სპეციფიური ენით – პლასტიკით გვესაუბრება. ეპოქებისა და ცივილიზაციების სვლამ უთვალავი მიმართულება შექმნა სახვითი ხელოვნების სამყაროში, მაგრამ იქ, სადაც ჭეშმარიტი მხატვრული ღირებულებებია, სახვითი ხელოვნების სასაუბრო ენად პლასტიკა რჩება, რაც დღეს ყველასათვის ცნობილია, მაგრამ ჯერ კიდევ არიან ადამიანები, ყოფილი ხელისუფლების გასახარად, მონუმენტურ ხელოვნებას საბჭოთა იმპერიის გადმონაშთად რომ მოიხსენიებენ. ეს მცდარი მოსაზრება და უცოდინარობის დასტურია. ასეთი აზროვნება სწორედ იმ თაობაში შეინიშნება, რომლებიც ბავშვობაში სკამზე შემდგარნი ძია ლენინზე ლექსებს გაჰყვიროდნენ. მაშინ როდესაც ჩემი თაობა დიდი ბრძოლისა და ჯაფის შედეგად ეროვნულ ხელოვნებას ქმნიდა, ძეგლებს უდგამდა ერის სასიქადულო შვილებს, ისტორიულ გმირებს, დიდ ქართველ მწერლებსა და პოეტებს, მუსიკოსებს... თუ ძეგლს მხატვრული ღირებულება ახლავს მის წუნზე საუბარი, როგორც საბჭოთა გადმონაშთზე, მცდარია, ხოლო სამარცხვინოა ამ ნიშნით მონუმენტური ქანდაკების უარყოფა. მაშინ როდესაც ყველაზე დემოკრატიული ქვეყნის, ამერიკის შეერთებულ შტატების კარიბჭესთან აღმართულია თავისუფლების ვეებერთელა მონუმენტი, რა ვუყოთ რომის იმპერიის დატოვებულ მონუმენტებს კაცობრიობის მონაპოვრად რომ ითვლება ან რიო დე ჟანეიროში მაღალ მთაზე მდგარ ქრისტეს გიგანტურ ქანდაკებას, რომელიც ყოველ დილით ნათელს ჰფენს ადამიანებს. მონუმენტური ძეგლის გარეშე ქალაქი კარგავს იერსახეს და იგი ემსგავსება უისტორიო, უსახო დასახლებულ პუნქტს. მონუმენტური ქანდაკება ფუნდამენტური ძეგლია ერის სულიერებისა და ნათელ თვისებათა გამომხატველი. ჩვენს ყოფილ ხელისუფლებას არაფრად ულირდა მისი მნიშვნელობა. ძეგლებს აფეთქებდა, ანგრევდა (კახეთში აღმართული ბატონ ვახტანგ ონიანის მონუმენტი „ამირანი“, რომელიც უნდა აღდგეს აუცილებლად). თვითნებურად გადაჰქონდათ და გადმოჰქონდათ მონუმენტები სპეციალისტებთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე.

**კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ისეთი ბოროტება, როგორც ფაშიზმის მოვლენა. მისმა დამარცხებამ და განადგურებამ მსოფლიო იხსნა. სწორედ ამ ბრძოლაში დაცემულ გმირთა დიდების მემორიალი ააფეთქეს ქუთაისში. ააფეთქეს სავანე იმ ვაჟკაცებისა, რომლებმაც სამშობლოსათვის სისხლი გაიღო. ამ ამბავმა ქართველი ხალხის გულისწყრომა და დიდი პროტესტი გამოიწვია, სადაც აქტიურად მონაწილეობდა იმდროინდელი ოპოზიცია, ხოლო უცხოური ტელეარხები კი მთელი კვირის განმავლობაში ამ ვანდალიზმზე საუბრობდნენ და აფეთქების კადრებს გადმოსცემდნენ.**

კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ისეთი ბოროტება, როგორც ფაშიზმის მოვლენა. მისმა დამარცხებამ და განადგურებამ მსოფლიო იხსნა. სწორედ ამ ბრძოლაში დაცემულ გმირთა დიდების მემორიალი ააფეთქეს ქუთაისში. ააფეთქეს სავანე იმ ვაჟკაცებისა, რომლებმაც სამშობლოსათვის სისხლი გაიღო. ამ ამბავმა ქართველი ხალხის გულისწყრომა და დიდი პროტესტი გამოიწვია, სადაც აქტიურად მონაწილეობდა იმდროინდელი ოპოზიცია, ხოლო უცხოური ტელეარხები კი მთელი კვირის განმავლობაში ამ ვანდალიზმზე საუბრობდნენ და აფეთქების კადრებს გადმოსცემდნენ. მემორიალის აფეთქებამდე რამდენიმე საათით ადრე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ამხანაგი ვაშაძე ურცხვად ამტკიცებდა, რომ ძეგლს რეაბილიტაცია უკეთდებაო. საქართველოს ელჩი აშშ-ში იაკობაშვილი კი ამბობდა: პუტინს ხურდაში გავატან ამ მემორიალსო. ხოლო დეპუტატი წიკლაური, იმ დროს როცა სამართალი არ არსებობდა, „ბრძნული სიდინჯით“ სთავაზობდა ავტორს სასამართლოში საქმის აღძვრას. ეს იყო კიდევ ერთი დანაშაული – ცინიზმი. ექვსი წლის შრომა დასჭირდა ყველაფერი ამის შექმნას. მათგან სამი წელი მხოლოდ მზეჭაბუკის ქანდაკებას. არქიტექტორი გახლდათ აწ გარდაცვლილი, ბატონი ოთარ კალანდარიშვილი. კონსტრუქტორ-ინჟინრები – ბატონები აწ გარდაცვლილი შოთა ჯანელიძე და მიხეილ რამიშვილი და ეს შრომა ერთ დღეში განადგურდა. ამ მემორიალის აფეთქებით და დანგრევით სახელისუფლო ტელევიზიებმა საზოგადოებას ამცნეს „საბჭოთა კავშირთან გამომშვიდობება,“ მაშინ როდესაც ამ მემორიალს საბჭოური არაფერი გააჩნდა, „კეთილმან სძლია ბოროტსა“ – ამ მარადიულ მცნებაზე იყო აგებული მემორიალის კომპოზიცია. ქართველმა ხალხმა ამ მემორიალს ქართული ბიბლია და ტრაქტატი უწოდა. ის სწორედ იმიტომ დაანგრიეს, რომ თაობებს არ ჰქონოდათ წინაპართა შთაგონება, სულიერი სიმტკიცე, სიჩაუქე, რწმენა და სამშობლოს სიყვარული.

**„ხელისუფლებამ მემორიალი ააფეთქა, ხელისუფლებამ ჩაიდინა გაუგონარი ბოროტება, ხელისუფლებამ წარმოაჩინა თავისი სიბეცე და ქვის ხანის აზროვნება. ხელისუფლებამ საკუთარ შვილებს ძალადობა შთააგონა. მადლობა ღმერთს, რომ ჭირთათმენის უნარი მომცა. ეს ბოროტებაც გადავიტანე“(მერაბ ბერძენიშვილი „საქართველოს რესპუბლიკა“ 2009 წლის 22 დეკემბერი).**

დღეს დადგა ჟამი სამართლიანობისა. ადამიანებს უბრუნებენ უკანონოდ წართმეულ ქონებას, სახლებს, მანქანებს, ბიზნესს, ათავისუფლებენ უდანაშაულო პატიმრებს, რაც სამართლიანია და დიდად სასიამოვნო. მაგრამ არსებობს ისეთი რამ, რომელიც ვერ დაბრუნდება, ისე როგორც ვერ დაბრუნდება მემორიალის აფეთქებისას ზვარაკად შეწირული გოგონასა და დედის სიცოცხლე. ვერავინ დააბრუნებს იმ დიდ ჯაფას, შრომასა და ენერგიას, რომელიც მემორიალის შექმნას მოვახმარე და ვერც იმ წლებს დამიბრუნებენ, რომლებიც დღემდე უქმად გამატარებინეს, როცა შემეძლო ჩემი ქვეყნისთვის კვლავ სიკეთე მეკეთებინა. ყოველივეს ვიხსენებ და ვამბობ იმიტომ, რომ ასეთი ბოროტება, უზნეობა და უგუნურება არასდროს განმეორდეს.

თუმცა ახლადარჩეულ პარლამენტში უმცირესობაში მყოფი ნაცმოძრაობის დეპუტატები ურცხვად სხედან იმ ნაგებობაში, რომელიც დიდების მემორიალის ნანგრევებზე და სისხლზეა აშენებული. სხედან უსირცხვილოდ და მონიტორინგს ეწევიან. ეს გამაღიზიანებელი უტიფრობა დამახასიათებელია იმ ნაცმოძრაობისა, რომელსაც ისინი წარმოადგენენ. ეს ის დამნაშავე ნაცმოძრაობის პარტიაა, რომელმაც დემოკრატიის სახელით ბრძოლაში საქართველოში მოსპო დემოკრატია და საკუთარ ხალხს ფიზიკურად უსწორდებოდა. ეს ის პარტიაა, რომელმაც წაგებული ომი გამარჯვებად გამოაცხადა. ამ ტრაგედიამ კი დიდი უბედურება დაატეხა თავს საქართველოს. ეს ის პარტიაა, რომელმაც ქართული კულტურა შებილწა და დანგრევის პირას მიიყვანა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემია და მთელი რიგი ინსტიტუტები, ჩვენი საამაყო თეატრი და კინოხელოვნება, სახელოვანი ქართული სპორტი. ნაცმოძრაობის პარტია ებრძოდა ყველაფერს რასაც ეროვნული ერქვა, მათმა ყალბმა დემოკრატიამ უამრავი ადამიანი შეიწირა. მათი საბოლოო სახე ციხის კედლებმა გამოამჟღავნა. დიახ, ეს იმ ნაცმოძრაობის პარლამენტარები არიან, დღეს რომ ოპოზიციონერებად მოაქვთ თავი და „სიმართლეს“ ეძებენ. ნაციონალური მოძრაობის პარტია სისხლის სამართლის დამნაშავეა, ამიტომ უნდა გაუქმდეს, უნდა შეწყვიტოს არსებობა, უნდა მოიკვეთოს, როგორც საქართველოს წინაშე დამნაშავე პარტია. რაც შეეხება პრეზიდენტის გადადგომას, იმ დროს უნდა მომხდარიყო, როცა ბატონი თემურ შაშიაშვილი, წლების უკან, პრეზიდენტის იმპიჩმენტზე გაჰყვიროდა, მაშინ დღემდე ამდენი სიავე არ მოხდებოდა. თუმცა „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“.

დღეს ახლადაშენებულ პარლამენტში, სადაც წვიმა ჩამოდის და „ქარიც ქრის“ ,კოალიციის დეპუტატები იძულებულნი არიან, გაუძლონ ამ მძიმე ვითარებას. დარწმუნებული ვარ, მათი საქმიანობა ქართველ ხალხს იმედს არ გაუცრუებს.

მოგეხსენებათ, ქართველები უცხოელებისადმი ყოველთვის პატივისმცემელნი იყვნენ, სიტყვა ,,საუცხოო“ ამას ადასტურებს. როცა ჩვენი წინაპრები დასავლეთისაკენ ილტვოდნენ, მათი მიმზიდველობის წერტილი დასავლური სიღრმისეული კულტურა იყო. საქართველოში, კარგა ხანია, აღარ ყოფილა პრიორიტეტული ხელოვნება. ამან განაპირობა, გამეხსენებინა ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც თქვენთვის, ალბათ, ცნობილია. საფრანგეთში, მე-16 საუკუნეში სამეფო დეკრეტის თანახმად, ფრანგული ენა სახელმწიფო ენად გამოცხადდა და ფრანგული ენის განვითარება ფრანგული აკადემიის კვლევის საგანი გახდა. მე-17 საუკუნეში სახელმწიფომ თავი ხელოვნების დამცველად გამოაცხადა და თავის მფარველობის ქვეშ აიყვანა. რაც ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანია, მე-20 საუკუნის შუა წლებში სახელმწიფომ გამოსცა მესამე დეკრეტი კულტურის სფეროში, რომელიც იმეორებდა და ადასტურებდა წინა ორს, რაც გამოიხატებოდა წარსული მემკვიდრეობის შენარჩუნებაში და ხელოვანთა მფარველობაში.

ბუნებრივია, დღეს ჩვენს ქვეყანას ამის საშუალება არ გააჩნია, მაგრამ რაღაც მსგავსი, მიახლოებულის გაკეთება აუცილებელია, რადგან აქამდე რაც უმსგავსობა ვიწვნიეთ, კულტურისა და ხელოვნების უგულებელყოფის შედეგია. ქართველი საზოგადოება პატივისცემითა და იმედით არის თქვენდამი განწყობილი, რომ საქართველოს წარმოუჩენთ მის ნამდვილ სახეს, დიდ ყურადღებას დაუთმობთ ქართულ ხელოვნებას, ეს კარგად იცოდა ბატონმა ექვთიმე თაყაიშვილმა – ღვთისკაცმა , რომელმაც დიდი წამებით და ტკივილით შემოუნახა ქართველ ერს გატანილი საგანძური და დაუბრუნა. ამ განძის მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვნებით დღეს ქართველი ხალხი ამაყობს. მან იცოდა ჭეშმარიტი ხელოვნების ფასი, რომელიც ადამიანს სჭირდება, იმიტომ რომ ის ადამიანია. ნუ დავივიწყებთ, რომ ჩემი თაობის ბავშვობის სიხარული იყო შეძახილი: **შუქი მოვიდა!** დღეს მთავარია, ახალგაზრდობა ავღზარდოთ ჯანმრთელი და განსწავლული, ჩავაგონოთ რწმენა და სამშობლოს სიყვარული.

**ნაცმოძრაობის პარტია ებრძოდა ყველაფერს რასაც ეროვნული ერქვა, მათმა ყალბმა დემოკრატიამ უამრავი ადამიანი შეიწირა. მათი საბოლოო სახე ციხის კედლებმა გამოამჟღავნა. დიახ, ეს იმ ნაცმოძრაობის პარლამენტარები არიან, დღეს რომ ოპოზიციონერებად მოაქვთ თავი და „სიმართლეს“ ეძებენ. ნაციონალური მოძრაობის პარტია სისხლის სამართლის დამნაშავეა, ამიტომ უნდა გაუქმდეს, უნდა შეწყვიტოს არსებობა, უნდა მოიკვეთოს, როგორც საქართველოს წინაშე დამნაშავე პარტია.**

13 ნოემბერი 2012 წელი.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## უცხოელის ხედვა

# სააკაშვილი კრემლის ყელში გაჩხერილი ძვალი იყო

**„ინტერპრესნიუსს“ ესაუბრება მოსკოვის კარნეგის ცენტრის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის სათათბიროს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი, რუსეთის სათათბიროს თავდაცვის, უსაფრთხოებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტების ყოფილი მოადგილე ალექსეი არბატოვი.**



**— ბატონო ალექსეი, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ივანიშვილმა ბრიუსელში ვიზიტისას იმედგაცრუება გამოთქვა იმის გამო, რომ თბილისმა რუსეთის მიმართულებით ნაბიჯი გადადგა, თუმცა რუსეთის ხელისუფლებას საპასუხო ნაბიჯი არ გადაუდგამს. მაგრამ, იქვე ივანიშვილმა გამოთქვა იმედი, რომ რუსეთის ხელისუფლება ისეთ ნაბიჯებს გადადგამს, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესებისკენ იქნება მიმართული. თქვენი აზრით, რას შეიძლება უკავშირდებოდეს მოსკოვის მომლოდინე პოზიცია?**

— საქართველოში არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილება მოსკოვში პოზიტიურად შეფასდა. რაც შეეხება ორმხრივი ურთიერთობების აღდგენას, რჩება შთაბეჭდილება, რომ მოსკოვი თბილისისაგან უფრო კონკრეტულ ნაბიჯებს ელოდება. შესაძლოა, გარკვეულწილად, ეს პაუზა იმასაც უკავშირდებოდეს, თუ რა ხელშესახები პარამეტრები ექნება საქართველოს საგარეო პოლიტიკას ქვეყნის ახალი ხელისუფლების პირობებში. კერძოდ, რა ურთიერთობა ჩამოუყალიბდება საქართველოს ამერიკასთან, ევროკავშირთან და ნატოსთან. შესაძლოა, მოსკოვი ელოდება, მიიღოს დამატებითი მონაცემები საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, რამდენად კონკრეტულ და პრაქტიკულ პარამეტრებს შეიძენს საქართველოს ნატოში გაწევრების სურვილი. ცნობილია, რომ საქართველოს ამ სწრაფვას რუსეთი არ მიესალმება.

**— საქართველოს მხრიდან გასაცხადებელ „კონკრეტულ წინადადებებზე“ განცხადება რუსეთის საგარეო უწყების ინფორმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ლუკაშევიჩმაც გააკეთა. თქვენი აზრით, რა „კონკრეტულ წინადადებებს“ ელოდება მოსკოვი თბილისისგან?**

— მე რუსეთის ხელისუფლებას არ წარმოვადგენ და ამიტომ მხოლოდ შემიძლია ჩემი ვარაუდები გამოვთქვა. ჩემი აზრით, პოზიტიური მნიშვნელობა ექნებოდა იმას, თუ საქართველოს ახალი ხელისუფლება განაცხადებდა, რომ საქართველო არ დაუშვებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემების სამხედრო ძალით გადაწყვეტას და ამ საკითხების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ პოლიტიკურ-დიპლომატიური პროცესების ძალისხმევით. მესმის ისიც, რომ საქართველოს ხელისუფლება გააკეთებს განცხადებას, რომ არ შეეგუება ამ ორი სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და რუსეთის მიერ მათი სუვერენიტეტის აღიარებას, მაგრამ იმავდროულად საქართველოს ახალი ხელისუფლება გამორიცხავს ამ პრობლემების სამხედრო ძალის გამოყენებით გადაწყვეტას. ჩემი აზრით, ეს საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ რუსეთმა საქართველოსთან მიმართებაში ტაქტიკა უკეთესობისკენ შეცვალოს.

**— საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით ამგვარი განცხადებები წინასაარჩევნო პერიოდსა და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ არაერთხელ გააკეთა. ეს განცხადებები საკმარისი არ არის?**

— შესაძლოა, მე რაღაც გამომრჩა, მაგრამ ივანიშვილის მხრიდან ამგვარი განცხადებები არ მახსოვს. მაგრამ, თუ ამ ტიპის განცხადებები საქართველოს ახალმა პრემიერ-მინისტრმა უკვე გააკეთა, ეს საკმარისია იმისთვის, რომ მოსკოვმა საპასუხო ნაბიჯები გადადგას. თუ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ივანიშვილის განცხადებებზე არ რეაგირებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ამ საკითხზე სხვა პოზიცია აქვს.

**— თქვენი აზრით, სავარაუდოდ, რა ვადებში შეიძლება მიიღოს რუსეთის საგარეო უწყებამ გადაწყვეტილება და დაასახელოს საქართველოსთან მთავარი მომლაპარაკებლის ვინაობა? და კიდევ, თქვენი აზრით, სავარაუდოდ, ვინ შეიძლება იყოს იგი?**

— ამის თქმა გამიჭირდება. რუსეთში საკმაოდ ბევრი ადამიანია, რომელსაც საქართველოსთან კარგი ურთიერთობები აქვს. ეს საკმაოდ დელიკატური თემაა, ამიტომ რომელიმე კონკრეტული პირის დასახელებისგან ახლა თავს შევიკავებ. როგორც გითხარით, საქართველოს მიმართულებით რუსეთის ნაბიჯები დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ურთიერთობები ექნება საქართველოს დასავლეთთან და გარე სამყაროსთან. როდესაც ამ კითხვებზე რუსეთი პასუხებს მიიღებს, სწორედ მაშინ დაინიშნება საქართველოს საკითხებში სპეცწარმომადგენელი, რომელიც საქართველოსთან ურთიერთობების ნორმალიზაციაზე დაიწყებს დიალოგს. თბილისთან დაკავშირებით მოსკოვის პაუზა შესაძლოა იმასაც უკავშირდებოდეს, რომ რუსეთი საქართველოსგან რაღაც მეტს ელოდება.

არ ვიცი, რას ფიქრობენ ამ თემაზე კრემლსა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინიტროში, მაგრამ საკმაოდ გავლენიანმა რუსმა ჟურნალისტებმა დაწერეს, რომ საქართველო მეტად არის დაინტერესებული რუსეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობებში და ამიტომ რუსეთის მიმართულებით უფრო მეტი შემხვედრი ნაბიჯები უნდა გადადგას, ვიდრე — რუსეთმა. თუ ჟურნალისტების პოზიცია გარკვეულწილად მოსკოვის ოფიციალურ პოზიციას ემთხვევა, მაშინ, ჩემი აზრით, ეს არაშორსმჭვრეტელური პოზიციაა. როცა ერთი მხარე მეტად არის დაინტერესებული ურთიერთობების აღდგენაში, პოლიტიკური სიბრძნე პირველი ნაბიჯების გაკეთებას გვკარნახობს. ამის გაკეთება თუნდაც იმიტომაა აუცილებელი, რომ ეს შემდეგ ყოველთვის უფრო მეტად ფასდება.

**— უახლოეს მომავალში გაირკვევა, თუ რა ურთიერთობები ექნება საქართველოს ახალ ხელისუფლებას დასავლეთთან, იმავე აშშ-სთან და ნატოსთან, მაგრამ არჩევნებში გამარჯვებული „ქართული ოცნების“ ლიდერმა და ახლა უკვე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა არაერთხელ განაცხადა, რომ საქართველოს საგარეო კურსი არ შეიცვლება, ანუ საქართველო კვლავ გააგრძელებს ევროკავშირსა და ნატოსკენ სწრაფვას...**

— რაც შეეხება საქართველოს ევროკავშირში შესაძლო გაწევრებას, ამ საკითხში რუსეთის პოზიცია უფრო ბუნდოვანია, იმის მიუხედავად, რომ ევროკავშირისადმი რუსეთს ერთმნიშვნელოვნად მკაცრი და უარყოფითი დამოკიდებულება არა აქვს.

რუსეთს ევროკავშირის წევრ არაერთ ქვეყანასთან აქვს კეთილმეზობლური ურთიერთობა და რუსეთს მათთან არანაირი პრეტენზიები არა აქვს. ასეთი ქვეყნები არიან ფინეთი, შვედეთი, ავსტრია და რიგი სხვა ქვეყნები. ევროკავშირი და ნატო სხვადასხვა ორგანიზაციებია, თუმცა 21 ქვეყანა როგორც ევროკავშირის, ისე ნატოს წევრები არიან. რუსეთს ორივე ამ ორგანიზაციისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება აქვს.

მეორე საქმეა საქართველოს აბსტრაქტული სურვილი, გაწევრდეს ნატოში. რუსეთს არ შეუძლია, ხელი შეუშალოს საქართველოს ნატოსკენ წრაფვას. ახლა რუსეთსა და ნატოს შორის საკმაოდ დაძაბული ურთიერთობაა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რუსეთი ნატოსთან იმაზე მეტად თანამშრომლობს, ვიდრე — საქართველო. რუსეთმა ნატოს ავღანეთიდან ჯარების გამოსაყვანად როგორც საჰაერო, ისე სახმელეთო კორიდორი მისცა. იმის მიუხედავად, რომ რუსეთი ნატოში გაწევრებას არ აპირებს, იმ საკითხებში, რომელშიც რუსეთს ნატოსთან საერთო ინტერესები აქვს, ალიანსთან აქტიურად თანამშრომლობს.

თუ ნატო საქართველოსთან მიმართებაში კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამს, მაგალითად, განაგრძობს საქართველოსთვის იმგვარი იარაღის მოწოდებას, რომელსაც რუსეთი მისი უსაფრთხოებისთვის სახიფათოდ მიიჩნევს, მიიღებს გადაწყვეტილებას საქართველოში ნატოს ჯარების განლაგების შესახებ, ან გააგრძელებს საქართველოსთან ერთობლივ წვრთნებს, მაშინ რუსეთს ამ პროცესებთან მიმართებაში ნეგატიური დამოკიდებულება ექნება და ეს როგორც რუსეთ-საქართველოს სამომავლო ურთიერთობებზე, ისე მოსკოვსა და თბილისს შორის დასაწყებ დიალოგზეც აისახება.

**— ხშირად გამოითქმის მტკიცება, რომ კრემლს სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნა და 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნება აწყობდა. თქვენც იზიარებთ ასეთ მოსაზრებას?**

— არა, არ ვიზიარებ. კრემლი აბსტრაქტული ცნებაა. რუსეთის მმართველი პოლიტიკური ელიტის უმაღლეს ეშელონებში სხვადასხვა დაჯგუფებებია. არიან ადამიანები, რომლებსაც საგარეო ასპარეზზე ნებისმიერი დაძაბულობა აწყობთ, ისინი მას საგარეო საფრთხედ განიხილავენ და სათავისოდ იყენებენ. კრემლის ამ დაჯგუფებისთვის სააკაშვილი, რა თქმა უნდა, მოსახერხებელი პოლიტიკური ფიგურა იყო. რა თქმა უნდა, 2008 წლის დაძაბულობა ნატოს გაფართოების პერსპექტივას უკავშირდებოდა, მაგრამ მაშინ კრემლის ამ დაჯგუფებისაგან შექმნილი ვითარება ბევრმა სათავისოდ გამოიყენა.

მმართველ ელიტაში არის მეორე ჯგუფიც, რომელსაც ბევრ საკითხზე განსხვავებული შეხედულება აქვს. მაგალითად, რუსეთის ნატოსთან, ან ნატოსთან საქართველოს თანამშრომლობა ინტერესთა ბალანსის გათვალისწინებით შეიძლება განვითარდეს. სააკაშვილი კრემლის ერთი დაჯგუფებისთვის ყელში გაჩხერილი ძვალი იყო. მათთვის ის, რასაც სააკაშვილი აკეთებდა, რუსეთის ნატოსთან და საქართველოს ნატოსთან ამგვარი თანამშრომლობის შესაძლებლობის გეგმებს ზიანს აყენებდა. ეს ეხება რუსეთთან მიმართებაში სააკაშვილის უპასუხისმგებლო და შეურაცხმყოფელ განცხადებებს. აღარაფერს ვამბობ მის ამგვარივე ქმედებებზე.

რუსეთის ელიტაში არიან ადამიანები, რომლებსაც კარგად ესმით, რომ რუსეთის უსაფრთხოება ბევრად არის დამოკიდებული სამხრეთ კავკასიაში არსებულ ვითარებაზე. რუსეთი დაინტერესებულია, რომ საქართველო მისთვის მეგობრული ქვეყანა იყოს. რუსეთს საქართველოსთან საერთო საზღვარი აქვს და ობიექტურად არსებობს თანამშრომლობის საფუძველი. რუსეთს სომხეთის წინაშე აღებული აქვს ვალდებულებები. იქ განლაგებულია რუსეთის სამხედრო ბაზები და ქვედანაყოფები. სამხრეთ კავკასიაში ან სამხრეთ კავკასიის მომიჯნავე რეგიონებში ვითარების გამწვავების შემთხვევაში საქართველო რუსეთისთვის, შესაძლოა, კარგი პარტნიორი აღმოჩენილიყო.

**კობა ბენდელიანი**

## გაფიცვების კვალდაკვალ

# შემცირდება ინვესტიციები საქართველოში?

**შეუშლის თუ არა საქართველოში აგორებული პროტესტის ტალღა ხელს ინვესტორებს? ამაზე ექსპერტები და დარგის სპეციალისტები ჯერ ვერ ჩამოყალიბებულან. მათი სურვილია, რომ ქვეყნის ეკონომიკა არ დაზარალდეს, მაგრამ რეალობა სხვაგვარ სურათს იძლევა.**

ბოლო პერიოდში გაფიცვა ფოთის პორტის, ბორჯომის ქარხნის, ყულევის ტერმინალის, ჭიათურის მაღაროს, ტყიბულის მაღაროების, ფარავანჰესის თანამშრომლებმა გამოაცხადეს. ამ კომპანიების უმრავლესობა უცხოელი ინვესტორების ხელშია. ეკონომიკის სამინისტრო ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებს.

**საერთაშორისო ინვესტიციების საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი კი განმარტავს, რომ უმსხვილესი ქართული კომპანიების ნაწილში თანამშრომლების გაფიცვა საქართველოთი უცხოელი ინვესტორების დაინტერესებას ხელს არ შეუშლის. გიორგი სეთურიძის თქმით, ის, რაც საქართველოში ხდება, ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში შეიძლება მოხდეს, რადგან ადამიანებმა, რომლებიც წინა ხელისუფლების პირობებში ტერორის და წნეხის ქვეშ იმყოფებოდნენ, ხმა ამოიღეს თავიანთი უფლებების დასაცავად. ამიტომ, სეთურიძის თქმით, ნაკლებად სავარაუდოა ამ ფაქტს, როგორც დემოკრატიულ პროცესს, ინვესტორებმა ყურადღება მიაქციონ.**

საქართველო ახალი ინვესტორების მოლოდინშია, ქვეყანაში კი საგაფიცვო ტალღა მძვინვარებს. ექსპერტების განცხადებით, ინვესტორებს გაფიცვები ვერ დააფრთხობს, ვინაიდან მსგავსი პროცესები ნებისმიერ განვითარებულ ქვეყნებშია. მთავარია, გაფიცვები მართული არ იყოს და ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციას არ ემსახურებოდეს.

**ეკონომიკის ექსპერტ ავთანდილ სილაგაძის განმარტებითაც, რამდენიმედღიანი გაფიცვა მნიშვნელოვან გავლენას ვერ იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე. მისი თქმით, ფოთის პორტი და რკინიგზა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტებია საქართველოში, რომლებსაც დიდი შემოსავალი აქვთ. ამიტომ პროტესტის ტალღა აქ დროულად უნდა შეჩერდეს, რათა კერძო მესაკუთრემ, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტმა დიდი ზარალი არ განიცადონ.**

**„რაც უფრო მალე დასრულდება გაფიცვების ტალღა, მით უფრო ნაკლები ფინანსური ზარალი იქნება. ეს დანაკარგები, რაც გაფიცვების პერიოდში იქნება მიღებული, აჯობებს, ხელფასების ზრდისკენ მივმართოთ, იმისთვის, რომ დასაქმებულთა პროტესტი მეტხანს არ გაგრძელდეს და კიდევ უფრო მეტი ზარალი არ განიცადოს, პირველ რიგში, კერძო მესაკუთრემ. თუ გაფიცვები გაგრძელდება, საერთო ჯამში, ფინანსური დანაკარგი იმაზე გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე ხელფასების ზრდისთვის იქნებოდა საჭირო“,** — განმარტავს ავთანდილ სილაგაძე.

პარტნიორი ქვეყნები საქართველოს გავლით ტვირთების გადაზიდვაზე უარს იტყვიან და ქვეყნის ეკონომიკის ფინანსური დანაკარგი როგორც გაფიცვების, ასევე გრძელვადიან პერიოდში აუნაზღაურებელი იქნება.

**„ახალი ეკონომიკური სკოლა — საქართველოს“ პრეზიდენტ პაატა შეშელიძის განმარტებით კი, სომხეთი და აზერბაიჯანი საქართველოზე უარს ვერანაირად იტყვიან, რადგან მათ სხვა ალტერნატიული გზა არ აქვთ. მისი თქმით, ეს ქვეყნები გარკვეულ ზარალს მიიღებენ, მაგრამ მის ანაზღაურებას მალევე შეძლებენ. ამ ეტაპზე ექსპერტს უმნიშვნელოდ მიაჩნია ის ფინანსური დანაკარგიც, რაც შეიძლება გაფიცვების ხარჯზე ქვეყნის ბიუჯეტმა მიიღოს.**

**„სახელმწიფო ბიუჯეტი ამ შემთხვევაში მეასეხარისხოვანია, მთავარია, დამსაქმებლის და დასაქმებულის ინტერესი. მნიშვნელოვანი საკითხი ისაა, რომ ადამიანს როდესაც ბიზნესი აქვს, გაფიცვების შედეგად მისი საქმე დაზარალდება თუ არა. გაფიცვა ყველაზე სწორი ნაბიჯი არაა, მან შეიძლება ზარალი მოუტანოს მესამე პირს, რომელიც არაფერ შუაშია კონკრეტულ ორი პირს შორის დადებულ კონტრაქტთან. არ შეიძლება ადამიანს დაუბლოკო საქმიანობა. არ გაკმაყოფილებს პირობები? მაშინ წადი და სხვა საქმეს მიხედე“,** — ამბობს „კომერსანტთან“ საუბრისას პაატა შეშელიძე.

**ეკა ბაქრაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№220. ხუთშაბათი, 15 ნოემბერი, 2012 წელი.

**საქართველოს პრეზიდენტის მიერ გახმოვანებული სურვილისთანავე პრესის ფურცლებზე გამოვხატე ჩემი დამოკიდებულება საკითხისადმი, ცხადია სრულიად დარწმუნებულმა, რომ მოსაზრებას არც პრეზიდენტი და არც ვინმე მისი გარემოცვიდან არ გაიზიარებდა. საქმე პარლამენტის ქუთაისში გადატანას ეხებოდა.**

მკითხველს კარგად ემახსოვრება ავადსახსენებელი პარლამენტარის ბობოხიძის „ღრმად საფუძვლიანი“ განცხადება-ინიციატივა, რომელიც პრეზიდენტმა აიტაცა და ისეთი უკბილო არგუმენტების ბუღი დააყენა, უკეთესს რომ ვერავინ ინატრებდა. არადა ბობოხიძის ინიციატივა სააკაშვილის ინიციატივა იყო ბობოხიძის მიერ გაჟღერებული.

რა არ ითქვა მაშინ სურვილის განსამტკიცებლად – რომ თბილისში პარლამენტის არსებობამ თავკომბალად გადააქცია თბილისი, რომ ყველა სახელმწიფო დაწესებულება არ უნდა იყოს დედაქალაქში და რომ მათი ნაწილი სხვა ქალაქებში უნდა გადანაწილდეს – ამ ქალაქების გამოღვიძებისა და აღმშენებლობისთვის, რომ ქუთაისი მეორე დედაქალაქად უნდა იქცეს, რასაც ხელს შეუწყობს პარლამენტის იქ დაფუძნება და სხვა.

თითიდან გამოწოვილი არგუმენტების მიღმა იმალებოდა მთავარი – სააკაშვილის ალერგიული დამოკიდებულება რუსთაველის პროსპექტზე მდებარე პარლამენტის შენობისადმი, რომელიც დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ხალხის პროტესტის გამოსახატავ ადგილად გადაიქცა.

თუმცა არა მარტო დამოუკიდებლობის წლებია ამ მხრივ დასამახსოვრებელი, არამედ საბჭოთა პერიოდიც. სწორედ პარლამენტის შენობასთან (მაშინდელ მთავრობის სახლთან) შეიკრიბნენ თბილისელები საქართველოს კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფო ენად დატოვებისთვის.

სწორედ პარლამენტის შენობის წინ მიმდინარეობდა ანტისახელისუფლებო გამოსვლები 1989 წლის აპრილში, რომელიც დარბევით და მსხვერპლით დასრულდა.

სწორედ პარლამენტის შენობასთან გაიმართა ოპოზიციური ძალების მიერ მომზადებული საარჩევნო კანონპროექტის მხარდასაჭერი ფართომასშტაბიანი გამოსვლა, რამაც უმაღლესი საბჭო აიძულა, მიეღო გამსახურდიას პროექტი, რამაც ფაქტობრივად განაპირობა საყოველთაო არჩევნებში „მრგვალი მაგიდის“ გამარჯვება, ანუ კომუნისტური სისტემის დამხობა.

პარლამენტის (მაშინდელი უზენაესი საბჭოს) შენობისთვის მიმდინარეობდა 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ომი, რომელიც შენობიდან გამსახურდიას გაძევებით და დროებითი ხელისუფლების მოსვლით დასრულდა.

ომს ვერც ქალაქის გული და ვერც პარლამენტის შენობა გადაურჩა. დამწვარ-გადაბუგულმა შენობამ დროებით შეწყვიტა საქმიანობა. ახლად არჩეულ პარლამენტს „იმელის“ შენობაში მოუწია მუშაობის დაწყება. დანგრეული შენობის ძირითად აღდგენით სამუშაოებს წელიწადნახევარი დასჭირდა, სრულ დასრულებას – არაერთი წელი.

პარლამენტის შენობა იყო ის ადგილი, სადაც შეიკრიბა ასლან აბაშიძის მიერ გამოგზავნილი აჭარული დესანტი არჩევნების შედეგების დაცვის მიზნით 2003 წლის აჩევნების შემდეგ. პარლამენტის შენობა იყო „ვარდების რევოლუციის“ ეპიცენტრი - სხდომათა დარბაზში სააკაშვილისა და მისი მომხრეების შეჭრით, დაცვის მიერ დამარცხებული შევარდნაძის დარბაზიდან გაყვანით, გამარჯვებული სააკაშვილის მიერ ტრიბუნაზე დატოვებული შევარდნაძის ჩაის დალევით.

სააკაშვილის მმართველობის პერიოდშიც, მომიტინგეებმა არაერთხელ გამოიყენეს შენობის მიმდებარე ტერიტორია – იყო გაშლილი კარვები, ღამის თევა, სახელდახელო ტრიბუნაზე ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლები და სხვა. მაგრამ საპროტესტო აქციებიდან 2007 წლის ნოემბრისა და 2011 წლის მაისის გამოსვლები ჩარჩა ხალხს მეხსიერებაში. მაშინ სააკაშვილის ხელისუფლება უმოწყალოდ გაუსწორდა მომიტინგეებს. იყო მსხვერპლიც.

სხვა ბევრი მოვლენა აკავშირებს საქართველოს საკუთარ პარლამენტთან და მის ადგილსამყოფელთან - ბევრი მძიმედ გასახსენებელი, ბევრიც სასიხარულო. სასიხარულოთა შორის აღსანიშნავია 1991 წელს ქვეყნის დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მოწერა. საზეიმო ცერემონიალი სხდომათა დარბაზში გაიმართა, სადაც უზენაესი საბჭოსა და მთავრობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ქართული ისტორიის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს.

პარლამენტის შენობის წინ გაიმართა პრეზიდენტების შევარდნაძისა და სააკაშვილის ინაუგურაცია. განსაკუთრებულად პომპეზური გამოდგა მოქმედი პრეზიდენტის ორი ინაუგურაცია.

და მაინც, რა დაუშავა სააკაშვილს პარლამენტის შენობამ და თბილისმა? რატომ გადაიტანა მან პარლამენტი ქუთაისში და სასწრაფოდ რატომ მოინდომა თბილისში არსებული პარლამენტის შენობის გასხვისება? პასუხი მარტივია და მას არავითარი კავშირი არ აქვს ქუთაისის განვითარებასთან – **სახალხო გამოსვლების შიში.** და მართლაც, ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითები აშკარა დასტურია ამისა.

ხალხი სამიტინგოდ თავის მიერ არჩეულ დეპუტატთა სამუშაო ადგილს აწყდებოდა და არა რეალური ხელისუფლების (კანცელარიის სახით) ადგილსამყოფელს. სახალხო გამოსვლები სწორედ პარლამენტის შენობასთან იმართება მეტწილად და არა სხვაგან. რაღა შორს წავიდეთ, მაგალითად ათენიც კმარა. სწორედ პარლამენტის შენობის წინამდებარე სივრცე არის გადაქცეული ბერძენთა მასობრივი მიტინგების ადგილად.

მიტინგების და დემონსტრაციების გამართვა კონსტიტუციით არის გამაგრებული და მას ვერავინ აუკრძალავს ხალხს. ეს იცოდა სააკაშვილმა და სხვა ხერხს მიაგნო – პარლამენტის ქუთაისში გადატანას. ამით მან თავი დაიზღვია მიტინგებისგან, თან უაღრესად დაასუსტა საკანონმდებლო ორგანო. რომ არა 1 ოქტომბერი, ვილას გაახსენდებოდა პარლამენტი. ის სწრაფად მიეცემოდა დავიწყებას, ისე, როგორც საკონსტიტუციო სასამართლო - ბათუმში გადატანილი და ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებიდან გარიყული. „იმელის“ შენობაში განთავსებულ საკონსტიტუციო სასამართლოს ფუტკრებივით ეხვია ხალხი. ბათუმში გადატანილს ეს „ჯაფა“ მოეხსნა და მასთან ერთად რესპექტაბელური სახელიც - საკონსტიტუციო სასამართლო.

პარლამენტის ქუთაისში გადატანით სააკაშვილმა ხალხს მისასვლელი გზა ჩაუხერგა მის მიერ არჩეულ დეპუტატებთან. ხელისუფლებაში მისულ პოლიტიკოსს კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ ხელისუფლების კრიტიკისთვის თავშეყრა, თანაც მასობრივი, პარლამენტის შენობის წინაც შეიძლება და ამაში არაფერია დაუშვებელი.

ხელისუფლების უპირველესი ვალია, რომ ასეთს ადგილი არ ჰქონდეს, ანუ მან ყველაფერი უნდა იღონოს ხალხისთვის მიცემული დაპირების შესრულებისათვის. შესრულების შემთხვევაში არავითარ საპროტესტო აქციას ადგილი არ ექნება. ხელისუფლებამ ნაკლები საბაბი უნდა მისცეს ხალხს პროტესტისთვის.

სამწუხაროდ, ბოლო 20 წლის განმავლობაში გამსახურდია-შევარდნაძე-სააკაშვილის ხელისუფლებამ არაერთი საპროტესტო საბაბი მისცა ხალხს. გახსოვთ ალბათ 1991 წელს რუსთაველზე ახლადდაჩეკილი პარტიების მიერ დაცემული კარვები, ლეიბებზე წამოკოტრიალებული წვერგაუპარსავი „პოლიტიკოსები“, პარლამენტის შენობის წინ გაშლილი „ხელისუფლების დამცველი“ კარვები „შავკოლგოტკიანებად“ წოდებული ქალებით.

კარვები არც სააკაშვილის ხელისუფლებისთვის იყო უცხო – ტელევიზიის (I არხი) შენობიდან დაწყებული, თავისუფლების



# აგდებულად ნუ მოვეკიდებით ქვეყნის სახეს!



მოედნით დამთავრებული. რაც მართალია, შევარდნაძის ჟამს ასეთი არ ახსოვს, ერთხელ იყო და ისიც მისი გაძევებით დასრულდა.

**სააკაშვილი ვერ შეეგუა მასობრივ გამოსვლებს, მასობრივი გამოსვლების ტრადიციული ადგილის არსებობას და ერთი ხელის დაკვრით პარლამენტი ქუთაისს მოისროლა. დემოკრატიაც ამას ჰქვია!**

სააკაშვილის ოცნება 2012 წელს ახდა, მაგრამ ეს ოცნება არახალია. მსგავსი, სააკაშვილის წინაპრებსაც (არაპირდაპირი გაგებით) ჰქონდათ, 1992 წელს, თბილისის ომის შემდეგ. მაშინ პუტჩისტებმა არა მარტო გამსახურდია გააძევეს ქალაქიდან, არამედ ამ პროცესში ქალაქის ცენტრალური ნაწილიც გაანადგურეს, მათ შორის პარლამენტის შენობაც.

გამარჯვებულებს ნერვებს უშლიდა პარლამენტის შენობა – ზვიად გამსახურდიას ადგილსამყოფელი და დაბეჯითებით გაიძახოდნენ – სატანის (გამსახურდია) ბუდე უნდა დაინგრესო!

მოწოდებას ლამის პრაქტიკული საქმე მოჰყვა, ანუ ნახევრადდანგრეულის მთლიანად დანგრევა, მაგრამ ქალაქის იმჟამინდელმა ხელისუფლებამ (ო.ლითანიშვილი) სხვაგვარად დასვა საკითხი – არა დანგრევა, არამედ შენობისთვის პროფილის შეცვლა ანუ პარლამენტის შენობის ბიზნეს-ცენტრად გადაკეთება.

1992 წლის თებერვალში სახელმწიფო კანცელარიაში, სიგუას თავმჯდომარეობით, გაიმართა მთავრობის სხდომა, რომელმაც განიხილა დანგრეული თბილისის აღდგენის და პარლამენტის შენობის მომავალის საკითხები. მე – უზენაესი საბჭოს სამდივნოს უფროსს, მხვდა პატივი დავსწრებოდი სხდომას. მაშინ უზენაესი საბჭო დათხოვნილი იყო. მისი წევრები საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ.

ბატონმა თენგიზმა იცოდა რა ჩემი აზრი პარლამენტის შენობასთან დაკავშირებით, ნება დამრთო დავსწრებოდი სხდომას თანამოაზრეებთან ერთად. სამწუხაროდ, ასეთები ცოტა აღმოჩნდა - გოგი ანდრონიკაშვილისა და ვახტანგ ცუხიშვილის სახით. სხდომაზე ქალაქის თავმა ოთარ ლითანიშვილმა განაცხადა, რომ პარლამენტის შენობაში აღარ უნდა იყოს პარლამენტი, იქ უნდა იყოს ბიზნესცენტრი.

საერთოდ რუსთაველის პროსპექტზე არც ერთი სახელმწიფო დაწესებულება არ უნდა ყოფილიყო. პროსპექტი უნდა გადაქცეულიყო თბილისელთა გართობისა და სეირნობის ადგილად. ნაცებმა ეს იდეაც მოიპარეს და ხელისუფლებაში ყოფნის პირველ წლებში, უქმე დღეებში ტრანსპორტისთვის პროსპექტი გადაკეტეს, სავალ ნაწილზე მაგიდები გაშალეს და „ბედნიერი“ საქართველოს სახეც დახატეს.

ჩემს შეკითხვაზე, სად იქნებოდა პარლამენტის შენობა – ლითანიშვილმა განაცხადა - თბილისის ზღვაზე, რათა მომავალში თავიდან იქნას აცილებული ის ექსცესები ომის სახით, რაც მოხდა.. „თბილისის ზღვა შორსაა და იქ მიტინგის გამართვით თავს არავინ შეიწუხებსო“.

მავანი იფიქრებს – ლითანიშვილმა იხუმრაო, მაგრამ ხუმრობა აღარ იყო, როდესაც მის მიერ მოწვეულმა არქიტექტორებმა ბიზნესცენტრად გადაკეთებული პარლამენტის შენობის პლანშეტები გამოფინეს. უმცირესობაში აღმოჩენილ ანდრონიკაშვილს, ცუხიშვილს და ჭიპაშვილს ისღა დაგვრჩა, გვეთხოვა სიგუასთვის, უწინარესად შენობის აღდგენითი სამუშაოების დაწყება, ვინაიდან უსახურავოდ დარჩენილ შენობას ისე აწვიმდა და ათოვდა, როგორც მინდორში ეულად მდგომ ხეს, ხოლო პარლამენტის შენობაში განთავსების საკითხი არჩევნების შემდეგ ახალ პარლამენტს გადაეწყვიტა.

საბედნიეროდ სიგუა დაგვეთანხმა, რის შემდეგაც სწრაფი ტემპით დაიწყო შენობის აღდგენა. აღდგენითი სამუშაოების წარმოება დაგვევალა თქვენს მონა-მორჩილსა და არქიტექტორ ცუხიშვილს. შემოდგომით, არჩევნების წინ, შენობის ნაწილი, რომელიც პროსპექტზე მდებარეობს, თითქმის მზად იყო, მაგრამ ახალი მოწვევის პარლამენტმა მუშაობა „იმელის“ შენობაში დაიწყო. ზოგიერთმა კომიტეტმა „იმელში“ მუშაობას პარლამენტის დაუმთავრებელ შენობაში ყოფნა ამჯობინა.

აღდგენილი შენობა, ძველი ინერციით მინისტრთა საბჭოს ბალანსზე ირიცხებოდა და მის სამეურნეო საქმიანობას მთლიანად წარმართავდა მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა, რაც სერიოზულად აფერხებდა საპარლამენტო საქმიანობას და, რაც, მთავარია პარლამენტს აღმასრულებელი ხელისუფლების დანამატად აქცევდა. სასწრაფოდ შევიმუშავე დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვით იქმნებოდა პარლამენტის სამეურნეო სამსახური, რომელსაც მინისტრთა საბჭოს ბალანსიდან უნდა გადმოსცემოდა პარლამენტის შენობა და ავტოფარეხი.

დადგენილებას მოწინააღმდეგებიც ჰყავდა – პარლამენტის თავმჯდომარის-სახელმწიფო მეთაურის შევარდნაძის სახით, რომელსაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი (სახელმწიფო მეთაურის, შემდგომში პრეზიდენტის და მინისტრთა საბჭოს) სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურში მოქცევა სურდა.

რის ვაივაგლახით პარლამენტმა ჩემს, ანუ პარლამენტის აპარატის უფროსის მიერ შემუშავებული დადგენილების პროექტი მიიღო. ეს სწორედ ის გადაწყვეტილება იყო, რაც, მიზეზთა გამო, ვერ განხორციელდა ზვიად გამსახურდიას დროს, თუმცა დასაწყისი იყო – შენობიდან მინისტრთა საბჭოს გაყვანა და კპ ცკ-ს შენობაში განთავსება, შენობის უკანა მხარეს არსებული სამინისტროების სხვა შენობებში გადაყვანა და გამოთავისუფლებული ფართის უზენაეს საბჭოზე (პარლამენტზე) მორგება, შესაბამისი სარემონტო სამუშაოების ჩატარება და სხვა. სამწუხაროდ, გარემონტებული შენობა თბილისის ომმა მიწასთან გაასწორა.

**არავითარი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ პარლამენტი ერის სახეა. და რომ მისი ადგილი დედაქალაქში და არა მეორე ქალაქშია. დედაქალაქში კი პარლამენტის შენობა ცენტრშია და არა გარეუბანში. ასეა მთელ დედამიწის ზურგზე. სადაც დედა, ანუ მთავარი ქალაქია, იქ არის ხალხის მიერ არჩეულთა სამუშაო ადგილი. იქ მიდის ხალხი რჩეულთათვის რჩევის მისაცემად, საყვედურის სათქმელად, თუნდაც პროტესტის გამოსახატავად.**

**მხოლოდ ქვეყნის მტერს შეეძლო ხალხისა და მისი რჩეულის ერთმანეთისგან მოწყვეტა. მხოლოდ მტერს შეეძლო მილიონობით დოლარის ხარჯვა ქუთაისში პარლამენტის შენობის აშენებისათვის. მხოლოდ მტერს შეეძლო პარლამენტის ქუთაისში გადატანით ქვეყნის ბიუჯეტისთვის ექსტრა ხარჯების აკიდება - პარლამენტარების და პარლამენტის აპარატის თანამშრომელთა მიერ ქუთაისში საცხოვრებელი ფართის დაქირავების სახით.**

მხოლოდ მტერს შეეძლო პარლამენტის წევრებისა და აპარატის მუშაკების თბილისს-ქუთაისს შორის გზაზე გამოკიდება, მათი ოჯახებთან ხელოვნურად დაშორება და ისეთი სოციალურ-ფიზიკური დისკომფორტის შექმნა, რომელიც სერიოზულ ბარიერს ქმნის გონებრივი შრომისათვის. მხოლოდ მტერს შეეძლო საკანონმდებლო-აღმასრულებელი ხელისუფლების ერთობლივ მუშაობაში ისეთი დისკომფორტის შექმნა, როგორიც გვაქვს დღეს.

მხოლოდ მტერი დაიწყებდა თბილისში არსებული პარლამენტის შენობის გასხვისებაზე ფაციფუცს და ახალი მეპატრონისთვის იმის თქმას, რომ სასწრაფოდ მოეხდინა შენობის ინტერიერის დემონტაჟი, რათა ვინმეს თავში არ მოსვლოდა უკან დაბრუნება. მაგრამ მარტო სააკაშვილია დამნაშავე? დამნაშავეა ყველა ის პარლამენტარი, ვინც მხარი დაუჭირა ამ წინადადებას და ვინც დღესაც ამტკიცებს, რომ პარლამენტის ქუთაისში არსებობა წაადგება ამ ქვეყანას.

დამნაშავეა ისიც, ვინც გარისკა და ჩაიბარა პარლამენტის შენობა – ქართული არქიტექტურის უნიკალური ძეგლი, გერმანელთა მიერ ნაშენი, ქართული ორნამენტით დამშვენებული საბჭოთა ეპოქის უნიკალურ შენობათა შორის მოქცეული. მაგრამ მარტო ეს შენობა განადგურდა (ჯერჯერობით შიგნიდან)? განადგურდა სახელოვანი საბჭოთა არქიტექტორის შჩუსევის მიერ აშენებული „იმელის“ შენობა, სხვა შენობები. მათი განადგურებისთვის პასუხს არავის თხოვენ – კერძო საკუთრებააო, ურცხვად აცხადებენ.

ნეტავ რას უპირებდა მეპატრონე საქართველოს ამ უდიდეს სახელისუფლებო კომპლექსს? სასტუმროდ, კაზინოდ თუ სხვა სალაღობო ცენტრად გადაკეთებას? დოლბანდს ჩამოაფარებდა ისე, როგორც უნივერმაღ „თბილისს“, „ცეკავშირის“ შენობას, გამომცემლობა „სამშობლოს“, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, „იმელს“, სხვებს და სხვებს – ძვირად გაყიდვის მოლოდინში. და ამას ჰქვია ქართული პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარული. ბარაქალა თქვენს მარჯვენას, „ახალო ქართველებო“.

**პარლამენტის ნორმალური მუშაობისთვის საჭიროა მისი ქუთაისიდან თბილისში არსებულ ძველ შენობაში დაბრუნება,**



**რისთვისაც შესაბამისი სარემონტო სამუშაოები დროულად უნდა ჩატარდეს. პარლამენტის ძველ შენობაში დაბრუნება ნიშნავს ისტორიული სამართლიანობის აღდგენას, რაც ესოდენ საჭიროა 9 წლის განმავლობაში სააკაშვილის ბატონობით დაბეჩავებული საქართველოსთვის.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# კოოპერაცია სოფლის მძლავრი საშუალებაა

## სოფლისა და აგრარული სექტორის აღორძინებაში კოოპერაციის როლსა და მნიშვნელობაზე გვესაუბრება ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი მამია ჭუმბურიძე

**„აგრარულ სექტორში გადაწყდება მდგრადი განვითარებისთვის ბრძოლის შედეგი“.**
**გ. მიურდალი,**
**შვედი ეკონომისტი,**
**ნობელის პრემიის ლაურეატი.**

**კოოპერაცია ორგანიზაციულად გაფორმებული წვრილ მწარმოებელთა ნებაყოფლობითი გაერთიანებაა. მის წევრებს აერთიანებთ საერთო ინტერესი – დაიკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნილებები საქონელსა და მომსახურებაზე. კოოპერაციის შინაარსი მჭიდროდ უკავშირდება შრომისა და წარმოების პროცესს, სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს, დემოკრატიულ მმართველობას, წევრთა საერთო ძალისხმევას, მყარად დაიმკვიდრონ ადგილი სამეწარმეო საქმიანობის კონკურენტულ გარემოში. პირველ მომხმარებელთა საზოგადოება (კოოპერატივი) დაფუძნდა 1769 წელს შოტლანდიაში, კლასიკური ფორმის ნამდვილი სამომხმარებლო კოოპერატივი კი დაარსდა 1844 წელს ინგლისში, როჩდეილში.**

ინგლისის მსგავსად, პირველი კოოპერაციული მომხმარებელთა საზოგადოებები (კოოპერატივები) აღმოცენდნენ და მათი რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა აგრეთვე საფრანგეთში (1848 წლიდან), იტალიაში (1853 წლიდან), გერმანიაში (1854 წლიდან), რუსეთში (1864 წლიდან), საქართველოში 1869 წლიდან. პარალელურად იქმნებოდა კოოპერატიული კანონმდებლობაც. პირველი კანონი კოოპერაციის შესახებ მიღეს ინგლისში 1852 წელს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში სამომხმარებლო კოოპერატივების ეროვნული კავშირის ჩამოყალიბებამდე, 1916 წელს, დაფუძნდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კოოპერაციული საზოგადოებების კავშირი – „ზაკსოუზი“. 1919 წელს აღნიშნული კავშირი დაიშალა და დაფუძნდა საქართველოს მომხმარებელთა საზოგადოებების ცენტრალური კავშირი – „ცეკავშირი“. ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ევგენი დარჩია, რომელიც უფრო ადრე „ზაკსოიუზის“ თავმჯდომარე იყო. საქართველოს ეროვნული სამომხმარებლო კოოპერაციის ამოცანა იმთავითვე ასე განისაზღვრა: მეპაიეთა და, საერთოდ, მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება თავისუფალი ვაჭრობისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის, ქალაქსა და სოფელს შორის ურთიერთკავშირის განმტკიცებისა და ჩარჩ-ვაჭრებისგან გლეხობის ინტერესების დაცვის გზით.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციამ, რომელიც ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში, რთული და სახელოვანი გზა განვლო. 1920-1927 წლებში იგი საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის წევრი იყო (სკა, დაფუძნდა 1895 წელს ალიანსის I კონგრესზე ლონდონში). ალიანსიდან ცეკავშირი, ისე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების კავშირები, გამოიწვიეს საბჭოთა კავშირის „ცენტროსოიუზის“ ალიანსის წევრად მიღების გამო. შემდგომში ცეკავშირი ალიანსის ღონისძიებებში მონაწილეობდა როგორც „ცენტროსოიუზის“ წევრი. ცეკავშირი საერთაშორისო კოოპერაციულ ალიანსში აღადგინეს 1992 წლის ოქტომბერში ალიანსის XXX კონგრესზე ტოკიოში, რაც დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო აღიარების კიდევ ერთი დადასტურება იყო.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 1919-1920 წლებში რუსეთის „ცენტროსოიუზის“ თავმჯდომარე იყო ჩვენი თანამემამულე ანდრო ლეჟავა (1870-1937) გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. შემდგომში, 1921-1924 წლებში იგი იყო რუსეთის ჯერ საგარეო, შედგომ საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე, 1924 წლიდან რსფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფოსაგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე. ა. ლეჟავა წარმოშობით სიღნაღიდან იყო.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია – ცეკავშირი ახლო წარსულში ქვეყნის მოსახლეობის 52 %-ს უწევდა სავაჭრო და კვებით მომსახურებას, მისი ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიან საქონელბრუნვაში 33%-ს შეადგენდა (2,5 მილიარდი მანეთი). სისტემას ჰქონდა სამრეწველო, დამზადების, სასწავლო და სამეცნიერო მომსახურების საწარმოები და დაწესებულებები, ტურიზმისა და დასვენების საუკეთესო ობიექტები. სისტემაში დასაქმებული იყო 80 ათასზე მეტი მუშაკი.

დაარსებიდანვე ცეკავშირი ტრადიციულად სოლიდურ საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდა. მან მნიშვნელოვანი თანხები გამოუყო ახლად დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ჭიათურის დრამატულ საზოგადოებას, ზუბალოვის სახალხო სახლს, ივანე ჯავახიშვილის თხოვნით დააფინანსა უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტთა სტიპენდიების და საზაფხულო პრაქტიკის ხარჯები, კოოპერაციის ფულადი სახსრებით დაარსდა საოპერო სტუდია, შეძენილი იქნა კინოატელიე ბელგიელი კომერსანტისგან, გაეწია დახმარება გ. ჯაბადარის დრამატულ სტუდიას, სადაც ფეხი აიდგეს ვერიკო ანჯაფარიძემ, აკაკი ვასაძემ და სხვებმა. ცეკავშირის „კოოპთეატრის“ ბაზაზე (ხელმძღვანელი მ. ჭიაურელი) 30-იან წლებში დაარსდა მუსიკალური კომედიის თეატრი, ცხინვალის სახელმწიფო თეატრის ოსური დასის პირველი კოლექტივი ძირითადად ცეკავშირთან არსებული მოძრავი თეატრის ოსური ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა (მოძრავ თეატრში გაერთიანებული იყვნენ ქართული, რუსული, აზერბაიჯანული, სომხური და ოსური დასები), პირველი ქართული მხატვრული ფილმი „ქრისტინე“ ეკრანზე ცეკავშირის მარკით გამოვიდა და სხვა. ცეკავშირი ტრადიციულად შეფობდა სკოლებს, ბაგა-ბაღებს, კოჯრის, მარტყოფის, წყნეთის მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლებს, კასპის უნარშეზღუდულ ბავშვთა სახლს და სხვა. აჭარაში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისთვის ცეკავშირმა თავისი სახსრებით დააფუძნა სოფელი აზმანა (ახალქალაქის რაიონი), სოლიდური თანხები გაიღო ზემო იმერეთსა და რაჭაში მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად, შიდა დაპირისპირების შედეგად გადამწვარი რუსთაველის პროსპექტის განახლებისთვის, ტელერადიო ცენტრის შენობის აღსადგენად თავდაცვის ფონდში გადარიცხა რამდენიმე მლნ მან. და სხვა მრავალი.

დღეისათვის საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია მწვავე კრიზისშია, პრაქტიკულად არ მოქმედებს. ამას აქვს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები. ეს მიზეზები, ალბათ, მიუკერძოებლად გააანალიზდება და სათანადოდაც შეფასდება, ახლა კი, მოკლედ შევნიშნავ, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სამომხმარებლო კოოპერაციას მეტ-ნაკლებად ყველგან უჭირს, უკიდურესად დაქვეითებულია მისი როლი და მნიშვნელობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში. ასეთი ვითარება ობიექტურად გამოიწვია საბჭოთა ტოტალიტარული გეგმიანი ეკონომიკისა და სამეურნეო კავშირების რღვევამ, ერთიანი ეკონომიკური სივრცის ჩამოშლამ, ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობისადმი ადეკვატური ეკონომიკური პოლიტიკის უქონლობამ. ხელისუფლება არა თუ არ ეხმარებოდა სისტემას, კრიზისიდან თავის დაღწევაში, არამედ აგრძელებდა ნეგატიურ დამოკიდებულებას, დისკრედიტაციას, საქმე მისი გაუქმების მოთხოვნამდეც კი მივიდა, რადგან კოოპერაცია სოციალისტურ გადმონაშთად მიაჩნდათ (კომუნისტური მმართველობის დროს კი კოოპერაციას კაპიტალისტურ გადმონაშთად თვლიდნენ).

საბედნიეროდ, ეს იდეა არ განხორციელდა საღად მოაზროვნე და კოოპერაციისადმი კეთილგანწყობილ რიგ სამთავრობო ხელძღვანელ მუშაკთა მხარდაჭერისა და კოოპერატორთა მედგარი წინააღმდეგობის წყალობით. ჩვენს მდგომარეობას სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებ-



თან შედარებით განსაკუთრებით ამძიმებდა და აუარესებდა შინაშლილობა, სამოქალაქო დაპირისპირება, წესრიგის მოშლა ყველგან და ყველაფერში. შემდგომში დამოკიდებულება თითქოს ნაწილობრივ სასიკეთოდ შემობრუნდა, მიღებულ იქნა სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება „სამომხმარებლო კოოპერაციის ხელშემწყობ ღონისძიებათა შესახებ“, „კანონი სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“, მაგრამ ერთდროულად მოხდა ცეკავშირის სისტემისა და გამგეობის აპარატის პოლიტიზაცია მოქალაქეთა კავშირის მიერ. უფრო ადრე სირთულეები შეიქმნა მხედრიონის ზეობის დროსაც, მაგრამ გამგეობის თავმჯდომარის ნ. ჟღენტის ავტორიტეტის წყალობით, რომელსაც ნამდვილად სურდა სისტემის წინსვლა, ბევრი ღონისძიება, მათ შორის ცეკავშირის ადმინისტრაციული შენობის გასხვისების მოთხოვნა არ განხორციელებულა. როცა მოქალაქეთა კავშირის ერთ-ერთი ლიდერი გ. ქათამაძე, ცეკავშირის გამგების თავმჯდომარე გახდა, პარტიული კუთვნილება მასაც აშკარად ხელს უშლიდა სისტემის მართვა-გამგებლობაში, რაც არაერთხელ აღუნიშნავს ჩემთან საუბარში და აპირებდა მდგომარეობის გამოსწორებას. სამწუხაროდ ცხონებულს არ დასცალდა ამ მიზნის განხორციელება.

ამ პერიოდს ემთხვევა და შემდგომშიც გრძელდება ცეკავშირის ხელმძღვანელობაში არაპროფესიონალების მოსვლა, პირებისა, რომლებსაც არავითარი დამოკიდებულება, შეხება არ ჰქონიათ კოოპერაციასთან, ზოგიერთი მათგანი პარტიული კუთვნილებით (მოქალაქეთა კავშირი – ნაციონალური მოძრაობა), ზოგიც ხელისუფლებისა და მაღალჩინოსანი სახელმწიფო მოხელეების მხრიდან ლობირებით. პარალელურად სისტემას, გამგეობას და აპარატს სხვადასხვა მოტივით ჩამოსცილდა არაერთი პროფესიონალი, განუხორციელებელი დარჩა სისტემის რეფორმირების ბევრი ღონისძიება. კიდევ უფრო გაძლიერდა ხელისუფლებასთან და სახელისუფლო პარტიასთან აშკარა და ფარული კარტელი, თანამშრომლობა. მაგალითისათვის ისიც კმარა, რომ მრავალი ობიექტი რაიკოოპერატივებიდან და რაიკავშირებიდან სიმბოლურ ფასად ან მუქთად, სხვადასხვა მოტივით, უფასოდ გადაეცა სახელმწიფოს. 2006 წელს ცეკავშირის გამგეობამ ეკონომიკის სამინისტროს კანონდარღვევით, ზეწოლით უფასოდ გადასცა და ამ უკანსკნელმა კერძო პირებზე გაასხვისა სისტემის ისეთი ცნობილი სტრატეგიული ობიექტები, როგორიცაა კურორტ საირმის ცნობილი დასასვენებელი სახლის 2 კორპუსი, 16-სართულიანი დასასვენებელი სახლი სათანადო ინფრასტრუქტურით ქობულეთში, შესანიშნავი კოტეჯი „შინო 2“ გუდაურში; მარნეულის საკონსერვო ქარხანა, რომლითაც ამაყობენ მისი დღევანდელი მფლობელები, საქართველოს კოოპერაციული ინსტიტუტის შენობა მეტრო „დელისთან“; შილდისა და წნორის ღვინის ქარხნები; ამბროლაურის, თელავის, სენაკის სასურსათო კომბინატები; გლდანის, ზუგდიდის, ქსნის საწარმო კომბინატები და სხვა მრავალი. პრაქტიკულად განიავდა სისტემის სავაჭრო, საწარმოო, სასწავლო და სერვისულ-საკურორტო-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის უდიდესი ნაწილი. გონივრულ ეჭვს იწვევს ამავე პერიოდში ცეკავშირის გამგეობის მიერ გასხვისებული წილების მიზანშეწონილობა და სარგებლობიანობა სისტემისათვის შპს „ნატახტარში“ (ლუდსახარში „ნატახტარი“), შპს „სამეურნეო და კომუნალურ მომსახურებაში“ (ცეკავშირის ადმინისტრაციული შენობა თავისუფლების მოედანზე), საგურამოს სასათბურე და ექსპერიმენტული მეურნეობების (16 ჰა მიწის ნაკვეთი) მთლიანი რეალიზაცია.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ ცეკავშირის ერთგული პროფესიონალი მუშაკების ერთმა ჯგუფმა სისტემაში შექმნილი მძიმე სიტუაციის შესახებ წერილით აცნობა საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის (სკა) ხელმძღვანელობას ჟენევაში. სკა-ს პრეზიდენტმა ბატონმა ივანო ბარბერინმა საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარისთვის 2006 წლის 27 თებერვალს გამოგზავნილ წერილში ჩვენთან კოოპერაციული ქონების ხელყოფის გამო გამოთქმულ წუხილთან ერთად, პრობლემის მოსაგვარებლად დახმარების სურვილიც გამოხატა ადგილზე, საქართველოში ჩამოსვლით. როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, სკა-ს პრეზიდენტის წერილი სათანადო რეაგირების გარეშე დარჩა.

დღეს, როდესაც ქვეყნის მართვას საბედნიეროდ შეუდგა დემოკრატიული გზით არჩეული ეროვნული ხელისუფლება – პარლამენტი, მთავრობა, სოფლის აღორძინება კი სამთავრობო პროგრამის პრიორიტეტულ მიმართულებად არის მიჩნეული, კოოპერაციას, მ.შ. სამომხმარებლო კოოპერაციას უდიდესი სარგებლობის მოტანა შეუძლია აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში.

აქვე შევნიშნავ, რომ ჩემი მრავალწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა და პრაქტიკული მოღვაწეობა, მათ შორის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე, გამოცდილება და წარსულის გაკვეთილები, აგრეთვე პირადი პასუხისმგებლობა მკარნახობს განვაცხადო: **დღევანდელ სამომხმარებლო კოოპერაციას სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღდგენა-განვითარების გზით სოფლის აღორძინების, სოფლის მოსახლეობის ცხოვრების სოციალურ-კულტურული დონის ამაღლების სამთავრობო პროგრამაში ჩართვა და მისიის შესრულება არ შეუძლია. მიზეზებიდან გამოვყოფდი მთავარს:**

**1. ყველა წინა ხელისუფლების მხრიდან სისტემისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება, დახმარების ნაცვლად დიქტატი და ზეწოლა, რასაც კოოპერაციული ქონების მიტაცება, კანონმდებლობის დარღვევით სახელმწიფო საკუთრებაში აყვანა და კერძო პირებზე მიყიდვა-ჩუქება მოჰყვა;**

**2. ბოლო პერიოდის ცეკავშირის მესვეურთა კოლაბორაციონისტული, მოღალატეობრივი დამოკიდებულება სისტემისადმი, აშკარა და ფარული კარტელი (თანამშრომლობა – გარიგება) ხელისუფლებასთან;**

**3. უაღრესად სუსტი (უსუსური) მენეჯმენტი, კოოპერაციის როლისა და მნიშვნელობის შეუფასებლობა, რომლის მაგალითია წინა ხელისუფლების სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია (2012-2020 წ.წ.)“. ასეთი მიდგომა სამართლიანად გააკრიტიკა პროფესორმა პ. კოღუაშვილმა (იხ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 ივნისი, 2012 წელი, №103);**

**4. შელახული რეპუტაცია და დაცემული იმიჯი;**

**5. სისტემის გულშემატკივარ, კვალიფიციურ, პატრიოტ კოოპერატორთა შორის უპერსპექტივობისა და ნიჰილიზმის გრძნობის გაჩენა.**

რა არის საჭირო იმისთვის, რომ სამომხმრებლო კოოპერაცია საწყის ეტაპზე სასწრაფოდ შეუდგეს მისთვის დამახასიათებელი ფუნქციის შესრულებას და აქტიურად ჩაებას სოფლის აღორძინების სამთავრობო პროგრამაში, არ აღმოჩნდეს არათუ გარეშე მაყურებლის როლში, არამედ საკუთარი ხელით წერტილი არ დაუსვას სამომხმარებლო კოოპერაციის თითქმის 150-წლიან ისტორიას საქართველოში?

**ცეკავშირის გამგეობამ უნდა მოიხსნას უფლებამოსილება და დაინიშნოს რიგგარეშე ყრილობა. ყრილობაზე დემოკრატიული პრინციპების დაცვით აირჩეს მართვის ორგანოები. ორგანიზაციის წესდება გათავი-**

# აღორძინების ნაცადი,



**მამია ჭუმბურიძე დაიბადა ზესტაფონის რაიონის სოფელ ბოსლევში, 1968 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობაში, მიღებული აქვს საუნივერსიტეტო სიგელები და ჯილდოები. 1968-1976 წლებში მუშაობდა სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და მართვის ინსტიტუტში უმცროს, უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, განყოფილების გამგედ. პარალელურად ეწოდა პედაგოგიურ მუშაობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. წლების მანძილზე იყო ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, პირველი მოადგილე. 1982-1986 წლებში დაამთავრა სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი და საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია (მოსკოვი). 2003 წლიდან მხოლოდ სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. გამოქვეყნებული აქვს 45-ზე მეტი ნაშრომი. მონაწილეობდა საერთაშორისო პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში. არჩეულია საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის წევრად — აკადემიკოსად, ჭუმბურიძეთა საგვარეულო კავშირის თავმჯდომარედ. ჰყავს მეუღლე, 3 შვილი, 7 შვილიშვილი და 2 შვილთაშვილი.**

სუფლდეს ანტიდემოკრატიული პუნქტებისაგან და მოყვანილი იქნეს კანონმდებლობის შესაბამისობაში, ზუსტად განისაზღვროს დამფუძნებელი კოოპერატივებისგან ცეკავშირისთვის დელეგირებული უფლებამოსილებები, ურთიერთთანამშრომლობის პირობები, შეწყდეს კავშირის ჩარევა დამფუძნებელი კოოპერატივების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში, კავშირი არ უნდა აკონტროლებდეს მათ.

კავშირის მთავარი ფუნქცია უნდა იყოს:

1.კოოპერატივების ინტერესების დაცვა სხვადასხვა სახელმწიფო, სამართალდამცავ, სასამართლო, საერთაშორისო ორგანოებსა და ორგანიზაციებში; დახმარების გაწევა პროგრამებისა და პროექტების შემუშავებასა და პრაქტიკულ განხორციელებაში, სპეციალისტების მომზადებასა და გადამზადებაში, სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზებაში, ფერმერული, გლეხური მეურნეობების, დამზადება-გადამუშავება-რეალიზაციის საწარმოებისა და სხვა ინფრასტრუქტურის შექმნაში;

2. სამომხმარებლო კოოპერაციამ უნდა მოახდინოს ძირითადი საქმიანობის პერეპროფილირება იმგვარად, რომ პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვროს მრავალდარგოვანი სასოფლო, საქალაქო კოოპერატივების დაფუძნება, წამყვან საქმიანობად კი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, მაქსიმალურად ადგილზე გადამუშავება და ქალაქის მოსახლეობაზე მიწოდება უნდა გახდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურით;

3. უნდა აღდგეს და გაფართოვდეს პირველადი მოთხოვნილების საქონლით სოფლის მოსახლეობის მომარაგება, კვებითი მომსახურება მ.შ. საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სკოლებსა და საბავშვო ბაღებში, მაღალმთიან რაიონებში „სახლში მაღაზიების“, მინი სასაწყობო, სამაცივრო, სატრანსპორტო, სატრაქტორო, სარემონტო და სხვა საწარმოებით;

4. კავშირი უნდა დაეხმაროს თავის რეგიონულ წევრებს (რაიონისა და სოფლის კოოპერატივები) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დაფუძნებასა და განვითარებაში, შეიმუშაოს კოოპერატივის სანიმუშო წესდება, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით კი კოოპერაციული სამეწარმეო საქმიანობის (სოფლის მეურნეობის მაპროფილებელი დარგები, არსებული ინფრასტრუქტურის მდგომარეობა და სრულყოფის ღონისძიებები და სხვა) პროგრამა-პროექტი. ეს პროგრამა-პროექტი სათანადო განხილვის შემდეგ უნდა დაამტკიცოს მართვის ორგანოებმა. პროგრამა-პროექტი კონკრეტული ვადებით და ფინანსური უზრუნველყოფით უნდა იყოს გაწერილი;

5. კოოპერატივებმა უნდა აღწერონ ქონება, მოახდინონ მისი ინვენტარიზაცია, ის, რაც საჭიროა უნდა დაიტოვონ, ზედმეტი გაასხვისოს და ამოღებული თანხა მოახმარონ საჭირო ინვესტიციებს;

6. პარალელურად სასწრაფოდ უნდა დაიწყოს სახელმწიფოსაგან კანონდარღვევით მითვისებული ქონების დაბრუნების პროცესი. იმის გათვალისწინებით, რომ უაღრესად რთული იქნება პრობლემის გადაწყვეტა, არაა გამორიცხული პროცესის დროში გაწელვაც, შეიძლება მივმართოთ მარტივ გზას — მხარეთა შორის მორიგებას: კომისიურად გადაწყდეს და ყველა მესაკუთრემ, რომელმაც სახელმწიფოსგან მიტაცებული ქონება შეიძინა და ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, კოოპერაციას განუსაზღვროს თავისი წილი საწესდებო კაპიტალში, ანუ კოოპერაცია გახდეს საწარმოს ერთ-ერთი მეწილე, თანამესაკუთრე. ასეთი მექანიზმი ლოგიკური, ობიექტური და პრაქტიკულადაც გამართლებულია;

7. სასწრაფოდ უნდა განახლდეს კოოპერატივებში მეპაიეებზე ქონების განაწილება — დამკვიდრების პროცესი სტაჟისა და დამსახურების მიხედვით;

8. კოოპერატივების საქმიანობაში უნდა ჩავრთოთ ახალგაზრდა სპეციალისტები, ვიზრუნოთ პერსონალის მომზადებაზე, სწავლებაზე, კვალიფიკაციის ამაღლებაზე. განათლების სამინისტროს უნდა ვთხოვოთ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, განსაკუთრებით სოფლად, როგორც წესი, შემოიღოს „ეკონომიკისა და ბიზნესის“ კურსის (საგნის) სწავლება პრაქტიკული გაძლიერებული მეცადინეობით. სასურველია დაფუძნდეს სასკოლო (მასწავლებელთა და მოსწავლეთა) კოოპერატივები. კოოპერატივებს უნდა გამოეყოს სათანადო მიწის ნაკვეთი და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა;

9. ფინანსური უზრუნველყოფა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ამ მიმართულებით კოოპერაციისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს სამთავრობო პროგრამით გათვალისწინებული სესხები (სათანადო პროგრამებისა და პროექტების რეალობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის გათვალისწინებით), გამოყენებული უნდა იქნას ერთობლივი კოოპერაციული საწარმოების დაფუძნების (მ.შ. უცხოელ პარტნიორებთან), კოოპერაციული ბანკისა და სოფლად საკრედიტო კავშირების დაფუძნების შესაძლებლობები;

10. ნაწილობრივ უნდა გადაიხედოს საკანონმდებლო ბაზაც. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დასაფუძნებლად არაა საკმარისი „კანონი მეწარმეთა შესახებ“, არც „კანონი სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“, რადგან ამ კანონებში პრაქტიკულად გათვალისწინებული არ არის კოოპერაციისადმი და, საერთოდ, სამეწარმეო საქმიანობისათვის სახელმწიფოს მხრიდან დახმარებისა და მხარდაჭერის კონკრეტული ღონისძიებები (იაფი კრედიტები, საგადასახადო შეღავათები და ამნისტია და სხვა). ამიტომ, აღნიშნულ კანონებში საჭიროა შევიტანოთ სათანადო ცვლილებები, დამატებები, ან პარლამენტმა მიიღოს სპეციალური კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ“. სასურველია, გადაისინჯოს მთაგორიანი რეგიონების შესახებ („მთის კანონი“) კანონი.



კოოპერაციის აქტიური მონაწილეობით სოფლის აღორძინების სამთავრობო პროგრამის განხორციელება შეიძლება განხორციელდეს პრინციპულად ახალი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბებითაც. პირველ ხანებში, ახლადდაფუძნებული კოოპერატივების მხარდაჭერის, დახმარებისა და საქმიანობის კოორდინაციის მიზნით შეიძლება შეიქმნას კოოპერატივთა განვითარების ხელშემწყობი ცენტრი რეგიონული ფილიალებით სამეურნეო ანგარიშის პრინციპით, პირველ ხანებში სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური უზრუნველყოფის საფუძველზე.

ფართოდ უნდა გამოვიყენოთ უცხოეთის ქვეყნების ტრადიციული, აპრობირებული და დამკვიდრებული გამოცდილება კოოპერატივთა ორგანიზების საქმეში, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის საქმიანობას პირადად ვარ გაცნობილი ადრინდელი სამსახურებრივი საქმიანობის გამო. **მაგალითად, სლოვაკეთში ლუჩენეცის რაიონის მაღალმთიანი მიტოვებული, დაცლილი სოფლის ლატკის აღორძინება სოფლის მკვიდრმა ახალგაზრდა ენთუზიასტმა ბიზნესმენმა აქ მრავალდარგოვანი სასოფლო კოოპერატივის დაფუძნებით დაიწყო.** იაფი კრედიტის გამოყენებით, უწინარესად, აღადგინა საცხოვრებელი სახლები, სკოლა და ბაგა-ბაღი, ეკლესია. კოოპერატივში გააწევრიანა მოსახლეობა, შექმნა სამუშაო ადგილები და დღეს ეს კოოპერატივი საუკეთესოდ ითვლება მთელ ქვეყანაში.

სასოფლო კოოპერატივების ორგანიზაციაში დიდი გამოცდილება აქვს იტალიას, რაც სათავეს ჯერ კიდევ XV საუკუნიდან იღებს. თანამედროვე მაგალითისთვის საინტერესოა ფლორენციასთან ახლომდებარე მევენახეობისა და მეღვინეობის კოოპერატივი „პონტასეივო“. აქ სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილია ქალაქური ყოფა-ცხოვრების პირობებით, კოოპერატივის წევრებს სოლიდური შემოსავლები აქვთ ხელფასების, დივიდენდებისა და პენსიების სახით, სტუდენტებს უხდიან სტიპენდიებს, რომლებიც შემდეგ კოოპერატივს უბრუნდებიან, როგორც კვალიფიციური სპეციალისტები. სკოლის მასწავლებლებს და კულტურის სახლის მუშაკებს, სოფლის საავადმყოფო-პოლიკლინიკის ექიმებს, სპორტის მესვეურთ აძლევენ წამახალისებელ გასამრჯელოს, წევრებს კრედიტით უშენებენ საცხოვრებელ ბინებს და ა.შ.

**განსაკუთრებით საინტერესოა სოფლის კოოპერატივების ორგანიზებაში სახელმწიფოს მხრიდან დახმარებისა და მხარდაჭერის იაპონური გამოცდილება, რაც გეგმიანი გრძელვადიანი პერიოდისთვის შემუშავებული ქვეყნის აგრარული პოლიტიკით არის განსაზღვრული. იაპონია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება-გადამუშავება-რეალიზაციის სახელმწიფო სუბსიდირების მასშტაბებით პირველ ადგილზეა მსოფლიოში. ეს დახმარება ბიუჯეტისა და ფასწარმოქმნის მექანიზმის ხარჯზე ხორციელდება. მაგალითად, იაპონიაში გასული საუკუნის 90-იანი წლებისათვის საბიუჯეტო სუბსიდიები 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე შეადგენდა 17 ათას აშშ დოლარზე მეტს, მაშინ როცა აშშ-ში 221, ხოლო ევროკავშირში 985 დოლარი იყო. სახელმწიფო ხარჯები აგრარულ სექტორზე (მოსახლეობის ერთ სულზე) იყო წელიწადში 673 დოლარი, მაშინ როცა ევროკავშირს და აშშ-ში, შესაბამისად, მხოლოდ 322 და 362 დოლარი.**

სასოფლო კოოპერატივების ორგანიზების საქმეში ყურადსაღები გამოცდილება აქვთ აშშ-ს, კანადას, გერმანიას, ისრაელს და სხვებს. ბევრგან შექმნილია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ეროვნული ასოციაციები (ლიგა). საკმრისია ითქვას, რომ აშშ-ში სასოფლო გამსაღებელ კოოპერატივებზე მოდის რძის რეალიზაციის 78%, ხილ-ბოსტნეულის 17%, მარცვლეულის 59%.

კოოპერატივების მნიშვნელობაზე მიუთითებს შემდეგი მონაცემები: დღეისათვის კოოპერატივები მოქმედებს მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში 800 მილიონი წევრით, კოოპერატივებმა შექმნეს 100 მილიონზე მეტი სამუშაო ადგილი. ყველა სახის კოოპერატივების წევრებიდან, საწარმოო კოოპერატივებზე მოდის 34,6%, სასოფლო-სამეუნეო კოოპერატივებზე 28,5%, საკრედიტო-სადაზღვევო კოოპერატივებზე 27,6%, სამომხმარებლო კოოპერატივებზე კი 9,3%.

**სასოფლო-სამეურნეო მრავალდარგოვანი კოოპერატივების ორგანიზაციასთან დაკავშირებით მეტად აქტუალურია მიწაზე საკუთრებისა და მისი სამართლებრივი რეგულირების საკითხი.** განვითარებულ ქვეყნებში მიწაზე კერძო საკუთრების მასშტაბები განსხვავებულია. მაგალითად, კანადაში მთელი მიწების მხოლოდ 10%-ია კერძო საკუთრებაში, ისრაელში სახელმწიფო საკუთრებაშია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების თითქმის 91%, შვეციაში სახელმწიფო საკუთრებაშია მთელი მიწების მხოლოდ 2,4%, გერმანიაში მთელი სასოფლო-სამეურნეო მიწების 95%-ზე მეტი კერძო პირებს ეკუთვნით, ჰოლანდიაში სასოფლო-სამეურნეო სექტორში სახელმწიფო საკუთრება საერთოდ არ არსებობს და ა.შ. დასავლეთის ქვეყნებში დღესაც მიმდინარეობს დისკუსია მიწაზე კერძო საკუთრების სოციალური მიზანშეწონილობის შესახებ. დისკუსიაში მონაწილეთა ნაწილის აზრით საშიშროება არის ის, რომ სესხის ასაღებად იპოთეკით მიწის რესურსების დატვირთვისას წვრილი მწარმოებლები (გლეხობა) ვალის გადაუხდელობის გამო ხშირად კარგავენ მიწებს, ბანკები ხდებიან მიწის მსხვილი მფლობელები და, რაც მთავარია, მიწის რესურსები აღარ მონაწილეობს სასოფლო-სამეურნეო სამეწარმეო სასარგებლო ბრუნვაში. ამიტომ ბევრ ქვეყანაში, მაგალითად აშშ-ში აკრძალულია მიწით სპეკულაცია, საფრანგეთში შეძენილი მიწის ნაკვეთის ხელახალი რეალიზაცია აკრძალულია 15 წლის მანძილზე. კანადაში მეწარმე მოიჯარეებს აქვთ უპირატესობები მიწის შეძენისას, ასევეა შვეციაშიც, სადაც პირებს დამატებით უნდა ჰქონდეთ მიწის დამუშავება-გამოყენება-მოვლის გარკვეული პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება. საფრანგეთში მიწის შეძენა დაშვებულია მიზნობრივად: სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის ან ბინათმშენებლობისა და სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად. გერმანიაში მიწის უპირატესი შესყიდვის უფლება მინიჭებული აქვს ბოლო 10 წლის სტაჟის მოიჯარეს, გამონაკლისია ახლობლებზე მიწის ჩუქება. ბევრ ქვეყანაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრიორიტეტული მიმართულებებიდან გამომდინარე და რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებით, დიფერენცირებულია საიჯარო ქირის განაკვეთებიც გრძელვადიანი პერიოდისათვის. ერთი სიტყვით, ყველა განვითარებულ ქვეყანაში მიწის რესურსების მართვა ამა თუ იმ ზომით სახელმწიფო სამართლებრივ რეგულირებას უკავშირდება, მიზანი კი მიწის ეფექტიანი, რაციონალური და მიზნობრივი გამოყენებაა. **ჩვენს ქვეყანაში სოფლისა და ქალაქის მოსახლეობას საკუთრებაში და იჯარით, მართალია, გადასცეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზებისათვის საჭირო სასტარტო კაპიტალისა და სათანადო ინფრასტრუქტურის უქონლობის გამო, შედეგები მწირია.**

უნდა აღდგეს და ფართოდ გაშალოს საქმიანობა სოფლის მეურნეობის პროფილის სასწავლო და სპეციალიზებულმა დარგობრივმა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა. სათანადო პროგრამებისა და პროექტების მომზადებისას უნდა დავეყრდნოთ ცნობილი ეკონომისტებისა და აგრარიკოსი ეკონომისტების, პროფესორების: ნ. ჭითანავას, ბ. გულუას, თ.კუნჭულიას, პ. კოლუაშვილის, რ. გოგოხიას, დ. იაკობიძის, თ. გვარჯალაძის, ვ. კვალიაშვილის, გ. ზიბზიბაძის და სხვათა მოსაზრებებსა და წინადადებებს. ამ ღონისძიების განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ კოოპერაციის გამოცდილი, პროფესიონალი, პატრიოტი მუშაკები, რომელთა რიცხვი არცთუ ისე მცირეა. მათ აქვს უდიდესი სურვილი, რომ საუკეთესო წარსულისა და ტრადიციების მქონე ორგანიზაცია კვლავ ჩააყენონ ქვეყნისა და ხალხის სამსახურში და, რაც მთავარია, შემუშავებული აქვთ სათანადო მიზნობრივ-კომპლექსური პროგრამა.

**და ბოლოს, სოფლის მრავალდარგოვანი კოოპერატივების აღდგენა-დაფუძნების მნიშვნელობა და შედეგიანობა კარგად უნდა ავუხსნათ მის მოსახლეობას. დავაინტერესოთ და დავარწმუნოთ ისინი კოოპერაციის სიკეთეში. სოფლის კოოპერატივის დაფუძნება (აღდგენა) ერთგვარ ზეიმადაც უნდა იქცეს. და როგორც სხვა მრავალ ეროვნულ, საშვილიშვილო საქმეში, აქაც მნიშვნელოვან როლს საქართველოს ეკლესია შეასრულებს თითოეული კოოპერატივის დალოცვა-კურთხევით.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს პრემიერის წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობაში: მოსკოვს საუბრის განახლებას ვთავაზობთ

**თბილისში დარწმუნებული არიან: დადგა დრო, მოვაწესრიგოთ დიალოგი მოსკოვთან. ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში საქართველოს პრემიერის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძემ გვიამბო ამ დიალოგის თავისი ხედვის შესახებ.**

**თბილისი ოპტიმისტურად არის განწყობილი მოსკოვთან პირდაპირი დიალოგის აღდგენაში. თავისი სურვილი – მოაწესრიგოს ორმხრივი ურთიერთობა – საქართველოს ხელისუფლებამ გამოხატა პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის ახალი პოსტის შექმნით. ეს თანამდებობა დაიკავა გამოცდილმა დიპლომატმა, 61 წლის ზურაბ აბაშიძემ, რომელიც 1993-2000 წლებში იყო საქართველოს ელჩი ბენილუქსის ქვეყნებში, ევროკავშირსა და ნატოში, 2000-2004 წლებში კი – ელჩი რუსეთში.**

***— რას ელით საქართველოს ახალი მთავრობის დიალოგიდან რუსეთთან?***

— რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ჩიხშია, განსაკუთრებით 2008 წლის ომისა და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ. ქვეყნებს შორის არ არის დიპლომატიური ურთიერთობანი, ოფიციალური დიალოგი ხორციელდება მხოლოდ საკითხების განხილვით კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით ჟენევის მოლაპარაკებათა ფორმატის მეშვეობით. ამ დროს, არსებობს უამრავი სხვა გადაუჭრელი პრობლემა: რეგიონალური უსაფრთხოების, ვაჭრობის, ჰუმანიტარულ ურთიერთობათა საკითხები.

რუსეთი ჩვენი პრიორიტეტია და ეს „ცივი ომი" როგორმე უნდა დამთავრდეს. ჩვენ რეალისტურად ვუყურებთ საგნებს, გვესმის, რომ ურთიერთობათა სწრაფი მოწესრიგება არ გამოვა. და თუ დიალოგი დაიწყება, ეს იქნება რთული საუბარი. მაგრამ სურვილი ასეთია: ჟენევის ფორმატის შენარჩუნებით შევქმნათ კომუნიკაციების ახალი არხი, რომლის ფარგლებშიც შეიძლება ყოველგვარი საკითხების განხილვა. ნაბიჯ-ნაბიჯ შევქმნათ ქვეყნებს შორის ნდობის ატმოსფერო და ეტაპობრივად ავაგოთ პატიოსანი და პროგნოზირებადი ურთიერთობანი.

***— რუსეთის მხარემ მოახდინა რაიმე რეაგირება თქვენს დანიშვნაზე?***

— ჯერჯერობით ჩვენ მოვისმინეთ დადებითი რეაქციები რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, პოლიტიკოსებისა და ექსპერტების მხრიდან, რაც ასევე ცუდი სიგნალი როდია. თავდაპირველად ველოდებით პასუხს ოფიციალური მოსკოვისგან. პირდაპირი დიალოგის განახლების ჩვენს ინიციატივას ექნება მნიშვნელობა მეორე მხრიდან ადეკვატური რეაქციის შემთხვევაში. თუ რუსეთის მხარე რაიმე მიზეზის გამო დიალოგს მიიჩნევს ჯერჯერობით მიზანშეუწონლად, მაშინ თანამდებობაც გარკვეულწილად აზრს კარგავს. ჩვენ ოპტიმისტურად ვართ განწყობილი, თუმცა განსაკუთრებული ილუზიები არ გაგვაჩნია.

***— განა შეძლებენ მოსკოვში აღიქვან თბილისი, როგორც თანასწორუფლებიანი პარტნიორი?***

— ჩვენთვის საკითხი ასე არ დგას. აღგვიქვან ისე, როგორც ჩინეთი ან ამერიკის შეერთებული შტატები, არავინ ელოდება, ჩვენი წონითი კატეგორია მსოფლიო საქმეებში — გაცილებით დაბალია. მერე რა? რასაკვირველია, რუსეთი უზარმაზარი ქვეყანაა და მშვიდად შეუძლია იცხოვროს უსაქართველოდ და სხვა ქვეყნების გარეშეც. საქართველოც გადარჩა რუსეთის გაზის, მფარველობისა და ბაზრის გარეშე. მაგრამ საკითხი შეეხება არა იმას, თუ როგორ გადავრჩეთ, არამედ იმას, თუ როგორ ავაგოთ ნორმალური ურთიერთობანი მეზობელთან.



მე არ ვეთანხმები აზრს, რომ ჩვენ ვართ პატარა ქვეყანა და გვაქვს პატარა ბაზარი და რუსეთს ნაკლებად ვჭირდებით, ვიდრე იგი ჩვენ. ჩვენ გვაქვს საერთო გეოპოლიტიკური საკითხები და რეგიონალური უშიშროების პრობლემები. და კიდევ, თუ ჩვენ არა ვართ მნიშვნელოვანი, რატომ აქვთ სამხედრო ბაზები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში? რისთვის იყო საჭირო ომი?

***— სოხუმსა და ცხინვალში მუშაობენ რუსეთის საელჩოები, თბილისში კი არა. საქართველოს პრემიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. დათანხმდება თბილისი თავისთან რუსეთის დიპლომატიური მისიის გახსნას სოხუმსა და ცხინვალში რუსეთის საელჩოების შენარჩუნების პირობებში?***

— ამ ეტაპზე ჩვენ არ განვიხილავთ დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის საკითხს, ვინაიდან ეს გახდება ჩვენი მხრიდან თქვენგან ნახსენები რეალობის ლეგალიზაცია, რაც შეიქმნა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის აღიარებით. ჯერ მოვაწესრიგებთ დიალოგს, და თუ იგი პოზიტიურ შედეგებს გამოიღებს, დავიწყებთ მუშაობას საკითხებზე დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობს „წითელი" ხაზები როგორც რუსეთისთვის, ისე საქართველოსთვის. რუსეთი არ არის მზად, გადასინჯოს თავისი გადაწყვეტილება აღიარების შესახებ. ჩვენთვის კი პრინციპულია ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და საერთაშორისო ურთიერთობებში არჩევანის თავისუფლების საკითხები. მაგრამ სანამ ჩვენ მივალთ „წითელ" ხაზებამდე, ჩვენ გვაქვს უამრავი სხვა საკითხიც, მაგალითად, ეკონომიკური, ჰუმანიტარული, რომლებიც შეიძლება გადავჭრათ.

***— საქართველოს ხელისუფლება ამავე დროს ისწრაფვის, მოაწესრიგოს ურთიერთობა რუსეთთან და ინტეგრირებაც ნატოში. შეიძლება ამ ორი ვექტორის შეთავსება?***

— რუსეთისთვის ნატო მეტად ძლიერი გამღიზიანებელია. ჩვენთვის ნატო პრიორიტეტია. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გავიგოთ, შეძლებს თუ არა მოსკოვი, მოისმინოს ჩვენი არგუმენტები იმის შესახებ, თუ რა გვინდა ნატოში, შევძლებთ თუ არა ჩვენ დავაახლოვოთ ერთმანეთთან ჩვენი პოზიციები. იქნებ რუსეთს აქვს არგუმენტი, რომელიც დაგვარწმუნებს ჩვენი მისწრაფების უსაფუძვლობაში. საჭიროა პატიოსანი საუბარი და ჩვენ ამისთვისაც ვართ განწყობილი.

***— თუ შეინიშნება რაიმე პროგრესი ქართული პროდუქციისთვის რუსეთის ბაზრის გახსნის საკითხთან დაკავშირებით?***

— როდესაც საქართველომ მწვანე შუქი აუნთო რუსეთის შესვლას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში, რუსეთის ოფიციალური პირები ყველაზე მაღალ დონეზე საუბრობდნენ, რომ ასეთ ნაბიჯს შეუძლია გახსნას ახალი ფურცელი ჩვენს ურთიერთობებში. ვფიქრობ, რომ ასეთი ქვეყნის ავტორიტეტისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ განცხადებები შესრულდეს. ბურთი რუსეთის მხარესაა. თუ რუსეთის მხარეს არ ექნება სურვილი, ჩვენ, რასაკვირველია, ვერ შევძლებთ დავაბრუნოთ ექსპორტი რუსეთის ბაზარზე...

DW-WORLD.DE
DEUTSCHE WELLE

# საქართველოს სურს, დაარწმუნოს ბრიუსელი თავის დასავლურ მისწრაფებაში

**რამდენიმე თვის წინათ პაატა ზაქარეიშვილი ადგილობრივ არაკომერციულ ორგანიზაციაში მუშაობდა, რომელიც თბილისის ერთ-ერთი გაცხოველებული ქუჩის შენობის სარდაფში იყო. დღეს იგი კომფორტულად მოეწყო მინისტრის უზარმაზარ კაბინეტში. „აი სიურპრიზი! – აღიარებს იგი. – ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ გავიმარჯვებდით არჩევნებში, მაგრამ აზრადაც არ მოგვსვლია ასე სწრაფად ჩამოგვეყალიბებინა მთავრობა. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ პრეზიდენტი ბოლომდე იბრძოლებდა, ქვეყანაში ცივი ომის ჩამოყალიბების რისკით..."**

მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც 2003 წლიდან საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობა უკავია, დათანხმდა პოლიტიკურ მოწინააღმდეგესთან თანაარსებობაზე მას შემდეგ, რაც 1 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებში მისმა პარტიამ განიცადა მარცხი კოალიციასთან ბრძოლაში მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით. როდესაც პრემიერ-მინისტრის სავარძელში აღმოჩნდა, იგი ახლა ისწრაფვის, იმუშაოს, როგორც ბიზნესმენმა: აყალიბებს მმართველების გუნდს და ყველგან თავის ხალხს ნიშნავს. „სააკაშვილმა და ივანიშვილმა არჩევნების შემდეგ მხოლოდ ერთხელ ნახეს ერთმანეთი. ისინი პირდაპირ არ ურთიერთობენ ერთმანეთთან. მიუხედავად ამისა, მათი ხელქვეითების კავშირურთიერთობის წყალობით, სახელმწიფო კვლავ აგრძელებს მუშაობას", — ამტკიცებს პაატა ზაქარეიშვილი. თავად იგი ახალ მთავრობაში პასუხისმგებელია საქართველოსთვის საგანგებოდ მნიშვნელოვან საკითხზე (ქვეყანამ რუსეთთან 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ თავისი ტერიტორიის 20 პროცენტი დაკარგა): ქვეყნის რეინტეგრაციაზე...

რაც შეეხება ურთიერთობებს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, რომელთა დამოუკიდებლობაც მოსკოვმა აღიარა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, მინისტრი ამბობს, რომ მზად არის „ისაუბროს ყველაფერზე, მათი პოლიტიკური სტატუსის გამოკლებით". პირველი ინიციატივა სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას შეეხება.

თბილისს არაერთგზის მიუწოდებია მოსკოვისთვის სიგნალი თავისი განზრახვის შესახებ, კერძოდ, დანიშნა სპეციალური წარმომადგენელი, რომელსაც დაევალა ურთიერთობის ნორმალიზაცია. „ეს, რასაკვირველია, კარგია. მაგრამ რამდენად ვრცელია შენი ველი მანევრებისთვის, თუ მოახდინეს შენი ოკუპირება და ოკუპანტს არ სურს, წავიდეს რაიმე კომპრომისზე იმის გამოკლებით, რასაც თავად გთავაზობს?" — სვამს ასეთ შეკითხვას პოლიტოლოგი ალექსანდრე რონდელი.

შეშფოთებისთვის კიდევ ერთი საბაბი არის ახალი ხელისუფლების მისწრაფება, აიღოს რევანში. გასულ კვირას ამან, კერძოდ, მიგვიყვანა სააკაშვილის ყოფილი გუნდის რამდენიმე წევრის დაკავებასთან, მათ შორის არის ყოფილი შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია, რომელსაც აკრიტიკებდნენ მისი მკაცრი მეთოდების გამო. „ახალი მთავრობა გვპირდება პატიოსან სასამართლოს, მაგრამ ეს ყოველივე პოლიტიკურ დაპატიმრებებს შეგვახსენებს", — ამბობს ალექსანდრე რონდელი. მით უმეტეს, რომ პრემიერ-მინისტრი სულ ახალ-ახალ მცდელობებს ავლენს, შეასუსტოს პრეზიდენტი. მაგალითად, მან შეამცირა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბიუჯეტი და მოუწოდებს სააკაშვილს გადადგომას. „საქართველო — ეს საფრანგეთი როდია! — აღნიშნავს ალექსანდრე რონდელი. — ჩვენთან თანაარსებობა კავკასიური მანერით იქნება..."

la-Croix.com

## დედამიწის ზურგზე



**ჩინეთში აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა, რომელიც ააგებს „საშუალო შეძლებულობის საზოგადოებას". მაგრამ ინტრიგა სხვა რამეშია**

პეკინში დამთავრდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ყრილობა, რომელზეც ჩინეთის კომუნისტური პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელობის შემადგენლობას ათი კაცი დაამტკიცეს. ის, თუ ვის აირჩევენ ჩინეთის ახალ თავმჯდომარედ, დიდი ხანია ცნობილია. ინტრიგა კი არის ის, თუ ცენტრალური კომიტეტის წევრებიდან პოლიტბიუროს შემადგენლობის არჩევის შემდეგ ვის დატოვებენ ბორტს მიღმა.

* * *

**დედამიწის ატმოსფეროს დაბინძურებამ რეკორდულ დონეს მიაღწია**



2010-დან 2011 წლამდე საკვალსათბურო გაზების გამონაბოლქვის დონე 2,5 პროცენტით გაიზარდა. მთლიანად გამონაბოლქვი ორჯერ აჭარბებს 1990 წლის მაჩვენებლებს. ყველა გამონაბოლქვის მეოთხედზე მეტი ჩინეთზე მოდის. რუსეთში აღინიშნება გამონაბოლქვების შემცირება, თუმცა იგი კვლავ შედის ყველაზე ძლიერი დამაბინძურებელი ქვეყნების ათეულში.

* * *

**ბრიტანელი წყალქვეშა სამსახურის მუშაკი, რომელიც დაიჭირეს ყალბი „რუსული აგენტების" დახმარებით, აღიარებს თავის შპიონაჟს**



ბრიტანეთის სამხედრო — საზღვაო ძალების 30 წლის ზემდეგი ედვარდ დევენი აღიარებს, რომ ცდილობდა, გადაეცა რუსეთის სპეციალური სამსახურებისთვის დაშიფრული კოდები, აგრეთვე სხვა საიდუმლო მონაცემები, რაც შეეხებოდა ბრიტანეთის ატომურ წყალქვეშა ნავებს. ღალატის საბაბად იქცა არა გამდიდრების წყურვილი, არამედ შურისძიება ჩაშლილი დაწინაურებისთვის.

* * *

**მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და სახელგანთქმული ბრილიანტი 21,5 მილიონ დოლარად გაიყიდა ჟენევაში**

მართკუთხა „კუშონის" ფორმის დაწახნაგებული „ერცჰერცოგი იოსები", რომელიც მოიპოვეს ინდოეთის სულთანატ კოლკონდის შახტში, ცნობილია მსოფლიოში თავისი ბრილიანტებით. 1919 წელს მას ოფიციალურად მიანიჭეს ავსტრიელი ფერდმარშალის და უნგრეთის რეგენტის სახელი, ვის აღსანიშნავადაც მიიღო ამჟამინდელი სახელწოდება.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№220. ხუთშაბათი, 15 ნოემბერი, 2012 წელი.

**გონების დაბნელება?**



# „პრეზიდენტის მეხსიერებას ბინდი გადაეფარა და არ ახსოვს, პირადად რამდენი ოფიცრისა და მოქალაქის ღირსება შელახა“



**არჩევნების შემდეგ ქართული დემოკრატიის თავისებურებებსა და ნაკლოვანებებზე „ინტერპრესნიუსი“ ეკონომიკური და სოციალური კვლევის კავკასიური ინსტიტუტის მკვლევარს კობა კიკაბიძეს ესაუბრა.**

**— ბატონო კობა, არჩევნების შემდგ არც ისე დიდი დროა გასული, გასაგებია, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში პირველად შეიცვალა არჩევნების გზით ხელისუფლება და, შესაძლოა, არჩევნების შემდეგ ქართული დემოკრატიის თავისებურებებსა და ნაკლოვანებებზე საუბარი ნაადრევი იყოს, მით უმეტეს, რომ კანონმდებლობის თვალსაზრისით ჩვენი პოლიტიკური სისტემა სრულყოფილი სულაც არ აღმოჩნდა, მაგრამ საჯარო სივრცეში ძველი და ახალი ხელისუფლების ქცევა ამ თემაზე მსჯელობის საბაბს აშკარად იძლევა. თქვენ როგორ შეაფასებდით არჩევნების შემდეგ ქვეყანაში ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ რეალობას და ამ რეალობაში ძველი და ახალი ხელისუფლების ქცევას?**

— ძველი ხელისუფლების მოქმედება შეიძლება ძალიან მოკლედ დავახასიათოთ — როგორც არაადეკვატური რეაქცია შექმნილ რეალობაზე, შესაბამისად, არაადეკვატური ტაქტიკური და სტრატეგიული ნაბიჯებით და ძველი ხელისუფლების ფიგურანტების კომიკურობამდე დასული იმპულსურობით. ახალმა ხელისუფლებამ კი ჯერ ბოლომდე ვერ გაითავისა და ვერ შევიდა ხელისუფალის როლში, რასაც, გარკვეულწილად, ფონს უქმნის ძველი ხელისუფლების მიერ ძალაუფლების ზოგიერთ რგოლზე დარჩენილი ძალაუფლება. მაგალითად, სასამართლო და საპრეზიდენტო ინსტიტუტი, რომელიც ჯერ კიდევ განუსაზღვრელ ძალაუფლებას ფლობს, მაგრამ მოკლებულია პოლიტიკურ სინდისს, ასევე თვითმმართველობა, რომელსაც 2014 წლამდე ადგილებზე ძალაუფლება უნარჩუნდება. მშვიდობიანად ხელისუფლების გადაცემა ყველამ ერთხმად აღიარა დემოკრატიისკენ წინგადადგმულ ნაბიჯად, მაგრამ პოსტსაარჩევნო ჩანაცვლების პერიოდის პოლიტიკური მენტალობა ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაშია.

**— ძველი ხელისუფლება ახლისგან ორ-სამ კვირაში ითხოვს წინასაარჩევნო პერიოდში გაცემული დაპირებების შესრულებას, მათ შორის ისეთისაც, რომელსაც ამომრჩეველს თავად ჰპირდებოდა. გასაგებია, რომ ამგვარი მოთხოვნებით ტელეეკრანებზე გამოჩენა ოპოზიციაში გადასული „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური ბრძოლის სტრატეგიის ნაწილია, მაგრამ, თქვენი აზრით, როგორ აღიქვამს მათ განცხადებებს საზოგადოება, ანუ ის ხალხი, რომელსაც პოლიტიკოსები ელექტორატად მოიაზრებენ?**

— ხალხი გაბრაზებულია, გაბრაზებული ადამიანის აღქმადობა შეიძლება არ იყოს ობიექტური, მაგრამ „ნაცმოძრაობის“ სპიკერების, „მოლაპარაკე თავების“ განცხადებები და გამოსვლები, რომელთაც პარტიული დისციპლინის კლიშე ადევს, ერთგვარი, უტიფარი შეუვალობით გამოირჩევა. პოლიტიკურ ფიგურანტებს ავიწყდებათ, რომ მათ იდეოლოგიის დონეზე ჰყავდათ ადამიანი იგნორირებული. მათი ამგვარი მოქმედების ტენდენცია დღესაც გრძელდება. როგორც ჩანს, „ნაცმოძრაობის“ ლიდერები აგრესიული და გაუაზრებელი განცხადებებით პოლიტიკურ საფლავს საკუთარი ხელით ითხრიან.

**— ოპოზიციაში გადასული „ნაცმოძრაობის“ ლიდერთა განცხადებები იმის თაობაზე, რომ არჩევნებამდე საქართველოში დემოკრატიული რეფორმები გატარდა, არჩევნები თავისუფალ და კონკურენტულ გარემოში ჩატარდა, რომ ქვეყანაში თავისუფალი სასამართლო, მედია, თავისუფალი ბიზნესგარემო იყო და პოლიტიკური პოლიციის აქტიურობა გადაჭარბებული არ ყოფილა, იმაზე მიანიშნებს, რომ „ნაცმოძრაობას“, როგორც პოლიტიკურ ძალას, არ გამოუტანია დასკვნები, თუ რატომ წააგო საპარლამენტო არჩევნები...**

— ჩემთვის ამ შეკითხვაზე საკმაოდ პრაგმატული და არგუმენტირებული პასუხი არსებობს, ეს არის მსოფლიოში დემოკრატიის შეფასება ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, რომელიც იზომებოდა 2003 წლამდე და შემდგომ. ზოგ შემთხვევაში ყოველწლიურად ან გარკვეული პერიოდულობით დროში. მათი შედეგი არის ის, რომ დემოკრატიის ხარისხი საქართველოში 2003 — 2012 წ.წ. საგრძნობლად შემცირდა, ამავე დროს დემოკრატიულობის მაჩვენებლის ძირითადი პარამეტრებიც-არჩევნების თავისუფალ და კონკურენტულ გარემოში ჩატარება, თავისუფალი სასამართლოს, მედიის, ბიზნესგარემოს შეფასება, რომელიც ერთობლიობაში დემოკრატიის წყაროს წარმოადგენს, ასევე, უარყოფითად არის შეფასებული.

აქედან გამომდინარე, „ნაცმოძრაობის“ „მოლაპარაკე თავების“ პროპაგანდისტული სვლა, საქართველოს, როგორც „დემოკრატიის შუქურის“ მისიაზე საუბარი, მტკნარი ტყუილია. შესაბამისად, ადვილია მათი უტიფარი განცხადებების ახსნა — „ნაცმოძრაობას“ არ უნდა აღიაროს საკუთარი შეცდომები, რაც მათ „პოლიტიკურ გვამებად“ ქცევის პერსპექტივას უმზადებს.

**— მიუხედავად იმისა, საზოგადოებამ საკმაოდ კარგად გაიგო, რომ თბილისში მცხოვრებ მოქალაქეებზე სოციალური დახმარებებისა და შეღავათების გაცემაზე უარი თავად თბილისის მერიას და საკრებულოს აქვს ნათქვამი და ამ თანხების სხვა მიმართულებით გადამისამართება თავად გადაუწყვეტია, მთავრობის სხდომიდან გამოსული თბილისის მერის გიგი უგულავას ხმაურიანმა განცხადებებმა გაკვირვების გარდა უცნაური განცდა გააჩინა. რა უნდა ვიფიქროთ, წინა ხელისუფლება მართლა ფიქრობს, რომ „ბნელა“ და საზოგადოება ისეთი ბნელია, რომ არაფერი ესმის?**

— თქვენს კითხვაზე პასუხად, მე მახსენდება „ნაცმოძრაობის“ გარიყრაჟზე, მისი ერთ-ერთი იდეოლოგის ზურაბ ჭიაბერაშვილის ესსე „წინ ილია ჭავჭავაძისკენ“, სადაც ჩამოყალიბებულია „ვარდების ეპოქის“ იდეოლოგიური დოქტრინა, რომელიც 2003 წლის შემდეგ რეალურად ხორციელდებოდა. მე მინდა ის „მარგალიტი“, რომელიც თქვენ კითხვაზე — მართლა ფიქრობს თუ არა ხელისუფლება, რომ საზოგადოება ბნელია, პასუხად სრულად წარმოგიდგინოთ: „უმეცრების საბურველში“ გახვეული მხარეები (რაც გულისხმობს საზოგადოებრივ ცოდნაზე დაწესებულ ინფორმაციულ შეზღუდვას), ან ინდივიდი ნამდვილად აირჩევს მისთვის მაქსიმალურად სარგებლის მომტან პრინციპებს, აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სხვა ინდივიდები ზუსტად იგივე პრინციპებს აირჩევენ. მაშინ საკმარისი ყოფილა მხოლოდ ერთმა ინდივიდმა (ცუდმა სტალინმა ან კარგმა პინოჩეტმა — **ზ. ჭ.**) მიიღოს გადაწყვეტილება ყველა სხვა ადამიანის მაგივრად“. ალბათ, ბიუჯეტიდან სტრიპტიზბარის ლაბირინთებში გადარიცხული თანხების გათვალისწინებით, უგულავასთვის ჯერ კიდევ „ბნელა“.

**— პრეზიდენტმა სააკაშვილმა გირაოთი გათავისუფლებული, ჯარისკაცების შეურაცხყოფაში ეჭვმიტანილი გენშტაბის უფროსი, ბრიგადის გენერალი გიორგი კალანდაძე თავის რეზიდენციაში მიიღო და შემდეგი განაცხადა — „არავის აქვს უფლება რომელიმე ოფიცრის ღირსება შელახოს, რა დონისაც არ უნდა იყოს იგი“, მაგრამ შემდეგ იქვე დაამატა — „დავივიწყოთ და უკან მოვიტოვოთ ყველაფერი“. საინტერესოა, პრეზიდენტი მართლა დარწმუნებულია, რომ გენერლის მიერ შეურაცხყოფილი ოფიცრები საჯაროდ და ინდივიდუალურად მიყენებულ შეურაცხყოფას დაივიწყებენ?**

— დიდი მადლობა შეკითხვისთვის, თქვენ ორი ისტორიული, „ვარდების ეპოქის“ დამღის მატარებელი ფრაზა დაიჭირეთ „ოპოზიციონერი“ „ჯერ კიდევ პრეზიდენტის“ გამონათქვამებში. სამედიცინო ხალხური ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, პირველ ფრაზაში **„სკლეროზის“,** ხოლო მეორეში **„შიზოფრენიის“** აშკარა ლინგვისტური ნიშნები იკვეთება.

როგორც ჩანს, პირველ შემთხვევაში „ჯერ კიდევ პრეზიდენტის“ მეხსიერებას ბინდი გადაეფარა და არ ახსოვს პირადად რამდენი ოფიცრის და მოქალაქის ღირსება შელახა. ხოლო მეორე ფრაზა, ჩემი აზრით, დროშასავით უნდა აიტაცონ „ნაცმოძრაობის“ მოლაპარაკე თავებმა — უნდა „დაივიწყონ და უკან მოიტოვონ ყველაფერი“ და საკუთარ შემოძარცულ ლეგიონებს ნათელი შიზოფრენიული მომავლისაკენ გაუძღვნენ.

**— გასაგებია, რომ მთავრობაში ბევრი ახალი სახეა, მაგრამ რჩება შთაბეჭდილება, რომ წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით ახალი მმართველი პოლიტიკური ძალა ერთი გუნდი არაა და პროცესების ეფექტურად მართვის მექანიზმები ჯერ შემუშავებული არ აქვს...**

— დიახ, ფაქტია, რომ განსხვავებით წინა ხელისუფლებისგან, რომლის სახელისუფლებო დევიზიც იყო — „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“ და „ძალა ერთობაშია“, დღევანდელი ხელისუფლება არაერთგვაროვანი პოლიტიკური პოლუსებიდან მოვიდა ხელისუფლებაში. აქედან გამომდინარე, ისინი არაერთგვაროვანი გამოცდილების და პოლიტიკური ცოდნის მატარებლები არიან, მაგრამ იმედს იძლევა სწორედ პოლიტიკური აზროვნების სიჭრელე და მაკონსოლიდირებელი ძალა ძლიერი პოლიტიკური ლიდერის სახით და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი — ხელისუფლებაში მოსული ახალი ძალის ღიაობა საზოგადოებისთვის და მზადყოფნა უკუკავშირის სამუშაო რეჟიმით საქმიანობისთვის.

რაც შეეხება მართვის მექანიზმებს, აშკარაა, რომ ხელისუფლებას დასახული აქვს გადასაჭრელი მიზნები, ხედავს თავის წინ მდგომ გადასაჭრელ ამოცანებს, მაგრამ ჯერ არ აქვს შემუშავებული ერთიანი მოქმედების სტრატეგია, რაც დროში გადასაჭრელი პრობლემაა და იმედია, ახალი ხელისუფლებისთვის ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხი არ იქნება იგნორირებული, როგორც წინა ხელისუფლების დროს.

**კობა ბენდელიანი**

**ვითარება**

# ვის, როდის და როგორ აუნაზღაურდება ზარალი?

## დაზარალებული კახელები ხელახალი აღწერის მოლოდინში

**კახეთში მიმდინარე წლის ივლისში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის ხელახალი აღრიცხვა იწყება — ეს განცხადება რეგიონის გუბერნატორმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა გააკეთა, თუმცა მას არ დაუზუსტებია კონკრეტული დრო, როცა პროცესი დაიწყება. გუბერნატორი ამბობს, რომ, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ბრძანებით, მიმდინარე წლის ზაფხულში დაზარალებულ მოსახლეობას ზარალი სრულად აუნაზღაურდება.**

**როდის დაიწყება დაზარალებული მოსახლეობის ხელახალი აღრიცხვა და დახმარების რა სახეობებს განიხილავს ხელისუფლება? — ამ კითხვებზე პასუხის მიღებას ელოდება თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კურდღელაურში მცხოვრები ელიკო საღინაშვილი. ის ამბობს, რომ თავად მივიდა სოფლის საკრებულოში და განცხადება დაწერა. ელიკო საღინაშვილის თქმით, მიმდინარე წლის ზაფხულში მხოლოდ 10 შიფერი მისცეს. არაინფორმირებულობაზე ლაპარაკობს სოფელ აკურაში მცხოვრები მარინა ქევხიშვილიც.**

**„განცხადება მე თვითონ დავწერე. მე და მარინა ქევხიშვილი კურდღელაურში ვცხოვრობთ. გვითხრეს, დახმარებები უნდა დარიგდესო! პირველად რომ შეგვამოწმეს, მხოლოდ 10 შიფერი მომცეს“.**

**„მე ქუჩაში გავიგე, ხელახალი აღრიცხვა უნდა დაიწყოსო! განცხადება მაშინვე დავწერე! როდის დაკმაყოფილდება ჩემი მოთხოვნა, ეს ჯერ არ ვიცი. ისე, აქტიურად ლაპარაკობს ხალხი, დახმარება კიდევ იქნებაო!“**




როდის დაიწყება ხელახალი აღრიცხვა, ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვთ არც ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სტიქიით დაზარალებულ სოფელ ლელიანში, თუმცა იმედოვნებენ, რომ ზარალის შესაბამისი შეფასება მოხდება. ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ნინო კაპანაძე ამბობს, რომ, მისი ინფორმაციით, სპეციალური კომისია ხელახალ აღწერას, სავარაუდოდ, დეკემბერში დაიწყებს.

**„ახალი კომისია უნდა ჩამოვიდეს, რომელიც ძირფესვიანად შეისწავლის დაზარალების ხარისხს და ოდენობას. შემოწმება უბნების მიხედვით მოხდება და დაზარალებულებს ადგილზე გამოკითხავენ. ადგილობრივ თვითმმართველობაში არავის უთქვამს, თუმცა, ჩემი ინფორმაციით, ეს სამუშაოები ნოემბრის ბოლოდან, დეკემბერში დაიწყება“.**

კონკრეტული ვადები დაზარალებულთა ხელახალი აღწერის შესახებ უცნობია თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ ზურაბ ყურაშვილისთვისაც, თუმცა ირწმუნება, რომ პირველი, რასაც ახალი მთავრობა გააკეთებს, დაზიანებული სახურავების აღდგენაა:

**„უპირველესად აღადგენენ დაზიანებულ სახურავებს. შემდეგ იქნება, ალბათ, სახლების შემოწმება. როგორც ხელმძღვანელობამ გვითხრა, ვინც ზარალი მიიღო, ყველას აუნაზღაურდება“.**

**ის, თუ რამდენი მილიონი ლარით დაზარალდა 19 ივლისის სტიქიის შედეგად კახეთის რეგიონი, არ თქმულა. თუმცა, ოფიციალური პირები სავარაუდო ციფრად 150 მილიონს ასახელებდნენ. სტიქიის შედეგად ყველაზე მეტად თელავის, გურჯაანის და ლაგოდეხის მოსახლეობა დაზარალდა.**

**გიორგი ალადაშვილი,**
რადიო „თავისუფლება“



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბუნებრივი რესურსების სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი № 1** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 578 581 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@anr.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>ბ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბლისაკენ, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის გაცემიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩუნჩხას მიმდებარე ტერიტორია, „ჩუნჩხას" ბაზალტის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 215 200 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩუნჩხას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2012 წლის 15 ნოემბერს დღის 11.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 17 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და | ელექტრონული აუქციონი იწყება 2012 წლის 17 |



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

| | | |
|---|---|---|
| | დასრულების დრო და თარიღი | დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 17 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სურათი | 1 |
| 15 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი № 22** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 578 581 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@anr.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავებისას მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. ბ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბლისაკენ, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული უსაფრთხოების წესების დაცვით. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის გაცემიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. დიდი დურნუკის მიმდებარე ტერიტორია, „სამშვილდეს“ (უბანი დურნუკი) ბაზალტის (მოსაპირკეთებელი) საბადო (კატეგორია - $C_1+C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 567 500 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. დიდი დურნუკის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 116 580 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 11 658,0 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 23 516 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2012 წლის 15 ნოემბერს დღის 11.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 17 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2012 წლის 17 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 17 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სურათი | 1 |
| 15 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი № 23** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 578 581 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@anr.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტზე ქვიშის მოპოვება უნდა განხორციელდეს „მიწამწოვი“ ტექნიკის საშუალებით. ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის გაცემიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ. მარნის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ცხენისწყალზე „მარანის“ ქვიშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 55 800 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ. მარნის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 7 482 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 748,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 1 696 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2012 წლის 15 ნოემბერს დღის 11.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 17 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2012 წლის 17 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 17 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სურათი | 1 |
| 15 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი № 24** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 578 581 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@anr.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის გაცემიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. გურიანთას მიმდებარე ტერიტორია, მდ. ნატანებზე, „ნატანების“ ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 163 200 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. გურიანთას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 21 883 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2 188,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 4 577 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2012 წლის 15 ნოემბერს დღის 11.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 17 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2012 წლის 17 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 17 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სურათი | 1 |
| 15 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი № 25** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 578 581 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@anr.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის გაცემიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის |



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

| | | |
|---|---|---|
| | | ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მერიის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ნატანებზე, „ნატანების“ ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 291 300 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მერიის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 39 059 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3 905,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 8 012 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2012 წლის 15 ნოემბერს დღის 11.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 17 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2012 წლის 17 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 17 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სურათი | 1 |
| 15 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №26**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 578 581 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, გ. გულუას № 6 / 032 72 72 48 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@anr.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის ან ჭაბურღილის თავმოწყობილობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია |

| | | |
|---|---|---|
| | | ლიცენზიის გაცემიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) უნდა განხორციელდეს სალიცენზიო ობიექტის შემოღობვა. ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზემო ყარაბულახის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 50 $მ^3$/დღე-ღამეში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზემო ყარაბულახის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 590 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 59,0 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 318 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2012 წლის 15 ნოემბერს დღის 11.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 17 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2012 წლის 17 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 17 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სურათი | 1 |
| 15 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში. |

**ობიექტი № 27**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 578 581 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@anr.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) აკრძალულია ფუჭი ქანის მდ. ნორიოს-ხევის კალაპოტში ჩაყრა, აგრეთვე მისი დაბინძურება. ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის გაცემიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნორიო, მდ. ნორიოს-ხევის ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 51 000 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნორიო |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 6 838 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 683,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 1 568 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2012 წლის 15 ნოემბერს დღის 11.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 17 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2012 წლის 17 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 17 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | საბანკო რეკვიზიტები | სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი:TRESGE22 სახაზინო კოდი: 302006400 |
| 15 | სურათი | 1 |
| 16 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კალათბურთი

# ვერც საკუთარმა კედლებმა გვიშველა

**საკალათბურთო „არმიამ“ 13 ნოემბერს მეორე შეხვედრა გამართა ევროჩელენჯის ჯგუფურ ეტაპზე და 71:80 მარცხი განიცადა ბელგიურ „ანტვერპენ ჯაიანტსთან“, რითაც ძალზე გაირთულა სატურნირო მდგომარეობა და მასთან ერთად ჯგუფური რაუნდის დაძლევის შანსი.**

საქართველოს ჩემპიონს ოთხ გუნდში ორ საუკეთესოს შორის მოხვედრა მართებს, რისთვისაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ყველა შინაური მატჩის შედეგს, თუმც „ჰაპოელთან“ ისრაელში წაგების შემდეგ საკუთარ მოედანზეც განიცადა მარცხი. თავის მხრივ, „ანტვერპენს“ მანამდე შინ წაეგო გერმანულ „ტელეკომთან“, ასე რომ, სავარაუდოდ „არმიას“ არც ამ უკანასკნელთან ექნება იოლი თამაშები.



თბილისის სპორტის სასახლეში გამართული მატჩის პირველი მეოთხედი საკმაოდ თანაბრად წარიმართა, ლიდერი რამდენჯერმე შეიცვალა, მაგრამ „არმიამ“ 10-წუთეულის ბოლოს 16:15 მოახერხა დაწინაურება.

კოტე ტუღუშის გუნდმა მეორე მეოთხედში გარკვეულ უპირატესობას მიაღწია — კარგი შედეგი გამოიღო სამი უკანახაზელით თამაშმა. სასტარტო ხუთეულის დუეტს — გიორგი გამყრელიძეს და კურტის მილეჯს კარგად მიეხმარა სათადარიგო ლაშა ფარღალავა და მასპინძლები ერთხანს 9 ქულით დაწინაურდნენ, დიდ შესვენებაზე კი 4-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ — 38:34.

„არმიამ“ მესამე მეოთხედი მეტოქეზე სუსტად ჩაატარა და საბოლოოდ დაკარგა ლიდერობა, ერთხანს 7 ქულითაც ჩამორჩა „ანტვერპენს“, მაგრამ 43:50-ზე ფარღალავამ და ლამეინ უილსონმა სამქულიანები ჩააგდეს და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს.

უკანასკნელი მეოთხედის წინ „ანტვერპენი“ 54:52 იგებდა და მცირე სხვაობის მიუხედავად ბოლო წუთამდე აკონტროლებდა თამაშის მსვლელობას. მატჩის დასრულებამდე ორ წუთზე ოდნავ მეტით ადრე სტუმრები 8 ქულითაც დაწინაურდნენ და ამ დეფიციტის აღმოფხვრა „არმიამ“ ველარ შეძლო.

საქართველოს ჩემპიონი მესამე ტურში გერმანულ „ტელეკომს“ დაუპირისპირდება. ეს შეხვედრა 20 ნოემბერს ბონში გაიმართება.

**ევროჩელენჯი. ჯგუფური ეტაპი. H ჯგუფი. მესამე ტური**

**13 ნოემბერი. თბილისი. „სპორტის სასახლე“**

**„არმია“ 71:80 „ანტვერპენი“**

**16:15 22:19 14:20 19:26**

**„არმია“:** გამყრელიძე (2), მილეჯი (24), ა. ბოისა, ვ. ბოისა, უილსონი (20 ქულა, 13 მოხსნა); ფეისონი (11), ფარღალავა (9), შელბომი (3), საყვარელიძე (2), ჯგერენაია.

**მწვრთნელი:** კოტე ტუღუში.

**„ანტვერპენი“:** მოორსი (13), ჰოპკინსი (24), მვემა (4), თონდიკი (7), ლავი (5); ბიგსი (14), დეზეეუ (8), რიდი (3), დრისენი (2).

**მწვრთნელი:** ედი კასტელსი.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ჭადრაკი

# ქართული გუნდი განახევრდა

**რუსეთის ქალაქ ხანტი — მანსიისკში მიმდინარე მსოფლიო საჭადრაკო ჩემპიონატზე ორმა ქართველმა დაძლია პირველი წინაღობა. ნინო ხურციძე და ლელა ჯავახიშვილი მეორე ეტაპზე გავიდნენ, ხოლო ბელა ხოტენაშვილმა და სოფო ხუხაშვილმა ადრეულად დაასრულეს ტურნირი.**



უკვე გაუწყეთ, რომ ნინო ხურციძემ ორი კლასიკური პარტიის ჯამში აჯობა მოწინააღმდეგეს, დანარჩენ სამ ქართველ მოჭადრაკეს კი დამატებითი პარტიების, ანუ ტაიბრეიკის გამართვა დასჭირდათ.



ლელა ჯავახიშვილმა რუს ანასტასია ბოდნარიუკთან დამატებით ორ 25-წუთიან პარტიაშიც ფრე დააფიქსირა, მასთან პაექრობის მესამე ეტაპზე ორი 10-წუთიანი პარტია ითამაშა, რომელთაგან პირველში თეთრი ფიგურებით მეტოქეს ყაიმზე შეუთანხმდა, შემდეგ კი შავებით აჯობა.

გამარჯვების კარგი შანსი ჰქონდა სოფო ხუხაშვილს, რომელმაც სომეხ ელინა დანიელიანს პირველი 25-წუთიანი პარტია შავი ფიგურებით მოუგო, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა, თეთრებით წააგო, შემდეგ კი ორივე 10-წუთიანი ბლიც-პარტია დათმო.

მოულოდნელი იყო ქართველთა ოთხეულიდან ყველაზე მაღალრეიტინგიანი მოჭადრაკის ბელა ხოტენაშვილის წაგება კუბელ მარიცა რობაინასთან. ამ წყვილმა კლასიკურ პარტიებში მოგებები გაცვალეს, ტაიბრეიკზე 25-წუთიან პარტიებში კი ხოტენაშვილმა ერთი წააგო, ხოლო მეორე ფრედ დაასრულა და ტურნირს გამოეთიშა.

ხურციძე და ჯავახიშვილი მეორე რაუნდში ანუ 1/16-ფინალში გავიდნენ.

**მანუჩარ გიორგაძე**

რაგბი

# შანსი პრესტიჟის ამაღლებისა

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა იაპონიასთან და ფიჯისთან 17 და 24 ნოემბერს გასამართი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრებისათვის მზადება დაიწყო. გუნდის მთავარ მწვრთნელ მილტონ ჰეიგის ხელმძღვანელობით „ბორჯღალოსნებმა“ „შევარდენის“ სარაგბო ბაზაზე მედიისათვის ღია ვარჯიში გამართეს, რასაც წინ რაგბის კავშირის პრეზიდენტის — გია ნიჟარაძის და 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელთა პრესკონფერენცია უძღოდა.**

საფრანგეთში გამართული რამდენიმედღიანი შეკრების შემდეგ გუნდი საწვრთნელ შეკრებას თბილისში განაგრძობს, ზემოთნახსენებ ნაკრების ღია ვარჯიშს კი გულშემატკივრები და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

პრესკონფერენციაზე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, ახალზელანდიელმა მილტონ ჰეიგმა და რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ ნაკრების მზადების პროცესი, მოწინააღმდეგეთა დონე და ქართული რაგბისათვის ზოგადად ამ ორი მატჩის მნიშვნელობა შეაფასეს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრებისთვის დამატებითი მოტივაცია იქნება სანაკრებო მწვრთნელთა შტაბში მსოფლიო რაგბის ერთ-ერთი ლეგენდის, ახალი ზელანდიის ნაკრების ყოფილი კაპიტნისა და ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშის — ტანა უმაგას შემოერთება. ტანა უმაგა მომდევნო ორი მატჩისთვის საქართველოს ნაკრების უკანა ხაზის მოთამაშეების მომზადებაში მონაწილეობს.



საქართველო-იაპონიის შეხვედრა 17 ნოემბერს, საქართველო-ფიჯის დაპირისპირება კი 24 ნოემბერს გაიმართება. ორივე მატჩი 15 საათზე მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე შედგება. ბილეთების ფასი 5 და 10 ლარია.

**გიორგი შოთაძე**

ჩოგბურთი

# გულახდილი ჯოკოვიჩი

**ლონდონის წლის შემაჯამებელი ტურნირის მოგების შემდეგ ნოვაკ ჯოკოვიჩი ჟურნალისტებს გაესაუბრა და სეზონის რეზიუმეც გააკეთა. სერბი ჩოგბურთელის თქმით, მას ბოლო 2 წლის განმავლობაში რთული და ამავდროულად წარმატებული პერიოდი ჰქონდა. „წარმოდგენა არ მქონდა, 2011 წელს ტრიუმფული გამოსვლის შემდეგ რა შედეგს მივაღწევდი.** მთლიანობაში კარგი სეზონი ჩავატარე, თუმცა არც უიღბლობამ დამინდო და როგორც კორტზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ საკმარის წინააღმდეგობას წავაწყდი. ლონდონის ტურნირის სტარტამდე ცოტა ხნით ადრე მამის ავადმყოფობის შესახებ გავიგე. ვცდილობდი, ყოველ მატჩში ბოლომდე დავხარჯულიყავი, ფინალის წინ კი განსაკუთრებულად მოტივირებული გახლდით. ლონდონში გამარჯვებას მამას ვუძღვნი“, — ეს ჯოკოვიჩის სიტყვებია.



მსოფლიოს კლასიფიკაციას რაც შეეხება, როგორც მამაკაცთა, ასევე ქალთა შორის რეიტინგსიების მოწინავე ათეულებს ცვლილება არ განუცდიათ.

South African Airways ATP Rankings

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) 12920,**
**როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 10265,**
**ენდი მარეი (დიდი ბრიტანეთი) 8000,**
**რაფა ნადალი (ესპანეთი) 6795,**
**დავიდ ფერერი (ესპანეთი) 6430,**
**ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) 4605,**
**ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) 4480,**
**ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფრანგეთი) 3490,**
**იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) 2990,**
**რიშარ გასკე (საფრანგეთი) 2515.**

WTA Tour Singles Rankings

**ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) 10595,**
**მარია შარაპოვა (რუსეთი) 10045,**
**სერენა უილიამსი (აშშ) 9400,**
**აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) 7425,**
**ანგელიკ კერბერი (გერმანია) 5550,**
**სარა ერანი (იტალია) 5100,**
**ნა ლი (ჩინეთი) 5095,**
**პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი) 5085,**
**სამანტა სტოსური (ავსტრალია) 4135,**
**კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) 3765.**

**როსტომ რაჭველიშვილი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

რეიტინგი

# „მომაკვდავი“ ქალაქები

**ყოველწლიურად გაეროს სხვადასხვა ქვედანაყოფი უამრავ კვლევას ატარებს, რომელთა შედეგები უმალ მსოფლიო მასმედიის ყურადღების ცენტრში ექცევა ხოლმე. ასე მოხდა ამჯერადაც, როცა ამ ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ ერთობ საგულისხმო ანგარიში „მსოფლიო ქალაქების მდგომარეობა 2012-2013“ გამოაქვეყნა, რომელშიც იმ დიდი ქალაქების ნუსხაა მოყვანილი, რომლებიც უსწრაფესი ტემპით... ქრებიან.**



იმის გარდა, რომ აღნიშნულ კვლევაში, ასე ვთქვათ, „მომაკვდავი“ ქალაქებია ჩამოთვლილი, მასში აგრეთვე მოცემულია იმ დასახლებული პუნქტების სიაც, რომლებიც სხვებთან შედარებით განსაკუთრებულად სწრაფი ტემპით ვითარდებიან. გაეროს ექსპერტთა ავტორიტეტული ჯგუფი მთელ მსოფლიოში დიდ ქალაქებს გულისყურით აკვირდებოდა. სამუშაოს ჩატარებისას მათი თვალთახედვის არეში სხვადასხვა ქვეყნის 600-ზე მეტი ქალაქი მოხვდა, რომელთა მოსახლეობა სამ მეოთხედ მილიონს აღემატება. გაეროს ანგარიშში საგანგებოდაა მითითებული, რომ სპეციალისტები მეგაპოლისებს ხუთი, მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმით აფასებდნენ. ესენია, კერძოდ, **მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი, წარმოების ეკონომიკური პროდუქტიულობა, ასევე გარემოს ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, აგრეთვე სოციალური სამართლიანობა.**

უახლოეს მომავალში გაქრობის საშიშროების წინაშე მდგარ დიდ ქალაქთა ნუსხაში მთლიანად 28 ქალაქი მოხვდა, ჩვენთვის კი ეს ჩამონათვალი უფრო იმითაა საინტერესო, რომ მასში **თბილისიცაა** შეყვანილი, რომელსაც სიის მე-15 ადგილი აქვს მიჩენილი. გაეროს ექსპერტების გაანგარიშებით, **რამდენიმე წელიწადში, უფრო ზუსტად კი 2025 წლისთვის, 1990 წელთან შედარებით, ანუ 35-წლიან პერიოდში საქართველოს დედაქალაქის მოსახლეობა დაახლოებით 7,5 პროცენტით შემცირდება.**

ვინმეს ეს ციფრი შესაძლოა საგანგაშო მოეჩვენოს — ისედაც ბევრნი არა ვართ და კიდევ მოსახლეობის დაკარგვაღა გვინდაო? მაგრამ, პირადად ჩემი აზრით, ამაში შეწუხების არანაირი მიზეზი არ არსებობს. არავინ მიწყინოს, მაგრამ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული თბილისი ჩვენი პატარა და მცირე მოსახლეობით ქვეყნის უშველებელი „თავკომბალა“ გახდა, რომელსაც საქართველოს ყველა კუთხიდან აუარება ხალხი მოაწყდა. ბუნებრივია, ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს იქ აქვს ცხოვრების უფლება, სადაც კი მოესურვება და საამისო საშუალება ექნება, მაგრამ, დამეთანხმებით, ერთიანად დაცარიელებული სოფლების (თუ არა ლამის მთელი მხარეების!) ფონზე, კატასტროფული სოციალური ყოფის პირობებში, თუკი ხალხი ისევ მამა-პაპეულ კერიებს დაუბრუნდება და იქ სიცოცხლეს „მეორე სუნთქვას“ გაუხსნის, რის იმედს ახალი ხელისუფლების სოფლის მეურნეობაში დიდძალი თანხების დაბანდების დაპირება იძლევა, ამაზე უკეთესი განა შეიძლება ჩვენში სხვა რამ მოხდეს? არა მგონია!

მსოფლიოში „გადაშენების გზას“ გაყოლილ ქალაქთა ლიდერები კი არიან **დნეპროპეტროვსკი (უკრაინა), ბუდაპეშტი (უნგრეთი) და დონეცკი (უკრაინა).** მოსახლეობის ოდენობის შემცირების დათვლისას, ისევე, როგორც თბილისის შემთხვევაში, იგივე 1990-2025 წლების შუალედი იყო აღებული, რა დროსაც **დნეპროპეტროვსკის მოსახლეობის 16,76 პროცენტით, ხოლო დონეცკისა — 14,22 პროცენტით შემცირდება. რაც შეეხება მეორე ადგილოსან უნგრეთის დედაქალაქს ბუდაპეშტს, დროის აღნიშნულ მონაკვეთში მას მოსახლეობის 14,66 პროცენტი დააკლდება.**

უნდა ითქვას, რომ სწრაფი ტემპით გადაშენების ტენდენციის მქონე ყველაზე მეტი ქალაქი **რუსეთშია,** რომელმაც 11 დიდი დასახლებული პუნქტის „დელეგირება“ მოახდინა. ასეთ მეგაპოლისთა სიაში მოხვდნენ **სანკტ-პეტერბურგი, ვორონეჟი, ვოლგოგრადი, ნოვოსიბირსკი, ნიჟნი ნოვგოროდი, სარატოვი, სამარა, პერმი, ომსკი, უფა და ჩელიაბინსკი.** მათ შორის ყველაზე სწრაფად მცირდება **ნიჟნი ნოვგოროდის** მოსახლეობა, რომელიც მეგაპოლისთა რეიტინგში მეხუთე პოზიციაზეა.

მომაკვდავ დიდ ქალაქთა სავალალო ნუსხაში აგრეთვე მოხვდნენ **რომი, ჰავანა, პრაღა, ბუქარესტი, მონროვია, ერევანი, სეული.**

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ საერთაშორისო ექსპერტებმა ასევე მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ტემპით მზარდი ქალაქების სიაც შეადგინეს და ამ მხრივ მოწინავე პოზიციაზე **ჩინეთია** დამკვიდრებული — 30-ქალაქიან ნუსხაში ამ ქვეყნის ორი ათეული ქალაქია შესული.

**ოთარ ტურაბელიძე**

ინფორმაცია

## წილები წამების შემდეგ წაართვეს

**კომპიუტერული ტექნიკის კომპანია „მაქს სტოპის“ დირექტორი და მფლობელი მინდია ქაშიბაძე მთავარ პროკურორს მიმართავს და ბიზნესმენ ავთო წერეთლის მიმართ გამოძიების დაწყებას მოითხოვს. მინდია ქაშიბაძის სახელით საჩივარი პროკურატურაში ადვოკატმა მამუკა მდინარაძემ შეიტანა.**

**— მინდია ქაშიბაძე ითხოვს გამოძიების დაწყებას ავთო წერეთლისა და იმ პირთა მიმართ, რომლებიც იყვნენ მისი ბიზნესპარტნიორები 2005-2006 წლებიდან, შემდეგ მათ დაიწყეს წამებითა და ფსიქოლოგიური ზეწოლით მისი ჩამოშორება პარტნიორობიდან, — აცხადებს მდინარაძე.**

**მდინარაძის თქმით, ქაშიბაძე ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფება და საქართველოში მას შემდეგ ჩამოვა, რაც მის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების გადაწყვეტილება შეიცვლება. აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის მოთხოვნით ბიზნესმენის ადვოკატები საქალაქო სასამართლოს მიმართავენ. როგორც მდინარაძე განმარტავს, ქაშიბაძე მზად არის გამოძიებას დეტალური ინფორმაცია მიაწოდოს.**

**მინდია ქაშიბაძის საქმეში ახალი გარემოებების შესახებ განცხადება ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ რამდენიმე დღის წინათ გააკეთა. გაბუნიას განმარტებით, მისი კლიენტი დაიბარეს ავთო (ჭუტა) წერეთლის კაბინეტში და ფიზიკურად სასტიკად გაუსწორდნენ, რის დროსაც მას მხედველობა დაუზიანდა. ადვოკატის ინფორმაციით, მინდია ქაშიბაძეს აიძულებდნენ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ანგარიშზე 300 ათასი დოლარი ჩაერიცხა და აღნიშნული ფულის გამოძალვას ძალის გამოყენებით ცდილობდნენ. უარის მიღების შემდეგ მისი ტერორი დაიწყო, რის გამოც ბიზნესმენი იძულებული გახდა, ქვეყანა დაეტოვებინა.**

## პროკურატურა თბილისის განვითარების ფონდის საკითხით დაინტერესდება

**მთავარი პროკურატურა თბილისის განვითარების ფონდის საკითხით დაინტერესდება, — ამის შესახებ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარემ ზაზა გაბუნიამ მთავარ პროკურორთან არჩილ კბილაშვილთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.**

**როგორც ზაზა გაბუნია აცხადებს, მთავარ პროკურორს თბილისის განვითარების ფონდის საკითხთან დაკავშირებით გამოძიების დაწყება სთხოვა, რადგან არსებობს გარკვეული ეჭვები, რომ ფონდის საქმიანობაში იყო ხარვეზები და არსებობს შეკითხვები ფონდის გამჭვირვალობასთან და საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულებებთან დაკავშირებით.**

**— ეს ეჭვი გააძლიერა საქართველოს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მომხდარმა რიგმა ფაქტებმა. არჩევნების შემდეგ ქვეყანა დატოვა და ამჯერად მიმალვაში იმყოფება ფონდის ყოფილი დირექტორი გიორგი საბანაძე. ამასთან, ჩვენ კულუარულად ვფლობთ სარწმუნო ინფორმაციას ბატონი საბანაძის მიერ საბიუჯეტო თანხებისა და ფონდის დოკუმენტაციის მითვისებასთან დაკავშირებით, — განაცხადა ზაზა გაბუნიამ.**

**მისი თქმით, პროკურატურაში განცხადების შეტანამდე, არაერთხელ სცადეს ინფორმაციის მიღება, თუმცა არც მერიამ, არც განვითარების ფონდმა კითხვებზე პასუხი არ გასცეს.**

**ინტერპრესნიუსი**

ინფორმაცია

## ახალაიას სასურველი საპყრობილე საქართველოში ვერ მოიძებნა

**სასჯელაღსრულების №7 დაწესებულებაში მოთავსებული ბაჩო ახალაია აცხადებს, რომ მას უსაფრთხოების გრძელვადიანი გარანტია არ აქვს.**

**ბაჩო ახალაია „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტმა მოინახულა, რომელიც საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფის წევრია. ბაჩო ახალაია დაწესებულების ერთ-ერთ სართულზე სამარტოო საკანშია მოთავსებული და ფლიგელში მის გარდა, სხვა პატიმარი არ იმყოფება. ახალაიას საკანთან დაცვაა მობილიზებული.**

**რაც შეეხება საკანში მყოფ ყოფილ შს მინისტრს, ბაჩო ახალაია აცხადებს, რომ გლდანის დაწესებულებაში მისი უფლებები არ დარღვეულა და მისი №7 დაწესებულებაში გადმოყვანა უფრო ცინიზმია, ვიდრე უსაფრთხოების დაცვა. ბაჩო ახალაიას განცხადებით, თუ ვინმეს მისი უსაფრთხოების დაცვა სურდა, ე.წ. მატროსოვის ციხეში უნდა გადაეყვანათ და არა №7 დაწესებულებაში.**

**— გრძელვადიანი უსაფრთხოების განცდა არ მაქვს, მართალია, ამ დრომდე თავს უსაფრთხოდ ვგრძნობ, მაგრამ როდესაც „ქურდებთან“ 20 მეტრში ხარ, ეს უსაფრთხოების დაცვის გარანტია ვერ იქნება სამომავლოდ, — განაცხადა ბაჩო ახალაიამ. მისი ინფორმაციით, გლდანის ციხიდან №7 დაწესებულებაში სამშაბათ საღამოს გადმოიყვანეს, თუმცა მისთვის არანაირი განმარტება არ მიუციათ.**

**საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფის წევრების ინფორმაციით, №7 დაწესებულებაში 35 პატიმარია მოთავსებული, მათ შორის 20 ე.წ. კანონიერი ქურდი.**

ტელეეკრანით აკალმება

# რაღაცები უკვე არ მომწონს

**ისევ და ისევ რიგითი მოქალაქის ენა-პირით ვლაპარაკობ და იმ იმედითაც, რომ საზოგადოების სხვა წევრებიც გაიზიარებენ ჩემს პოზიციას. ამჯერადი სათქმელი კი ისა მაქვს, რომ პოსტნაცუმ ხელისუფლების რამდენიმე ბოლოჟამინდელმა განცხადებამ თუ ნამოქმედარმა უკვე გამაკვირვა და გულგატეხვა მომგვარა, თუმცა ერთი თვე ძლივსაა გასული უფლებამოსილებაში ახალი მთავრობის ყოფნისა.**

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თავისი მინისტრული საქმიანობა იმით უნდა დაიწყოს, რომ მოსწავლეთა კონკურსი გამოაცხადოს მანდატურთათვის უნიფორმის მოდელის შექმნაზე? ესაო-და, მანდატურებს კომფორტულად(?) უნდა ეცვათო... რაო, ამ სფეროში მანდატურების შემოსვასა თუ მორთვა-მოკაზმვაზე უფრო საშური და მტკივნეული პრობლემა არცარა დახვედრია? მეგონა, „სრულიად პირიქითაც კი — მანდატურთა ინსტიტუტის გაუქმებაზე უფრო იფიქრებდა, რომლებიც, როგორც ამბობენ, პოლიციურ ფუნქციებს უფრო ასრულებენ, ვიდრე აღმზრდელობითს. არადა, მე მიამიტს, მეგონა, რომ ახალი მინისტრი ერთ-ერთ პირველ პრინციპულ ამოცანად დაისახავდა, მაგალითად, მეცნიერებათა აკადემიიდან უგუნურად, დაუფიქრებლად, წინდაუხედავად მოკვეთილი კვლევითი ინსტიტუტების „დაბრუნებას და შინ მოსვლას “ — შინ აკადემიის წიაღსა შიგან. წინა განათლების მინისტრებს, ლომაია იყო, შაშკინი თუ „ერთსაათიანი ხალიფა“ დეკანოიძე, მეცნიერებისკენ ხომ არ გაუხედავთ, თითქოს. ეს კომპონენტი არც შედიოდეს უწყების დასახელებაში... ახალი შეფი, გიორგი მარგველაშვილი იმავე „გაუხედაობას“ ხომ არ აპირებს? თანაც მანდატურების შემოსვა თურმე დაჩქარებულად მოხდება — კონკურსი, 12 ნოემბერს დაწყებული, ორ კვირაში შეჯამდება... ერთი კია (ზოგი ჭირის მარგებლობისა არ იყოს) — ჩემი უფროსი სკოლელი შვილიშვილი მაგნიტ-კომპიუტერს მოსცილდა და უნიფორმის ესკიზებს ჩაუჯდა. მაგ სკოლელებს მანდატურები გულზე არ ეხატებათ და ქაღალდზე „ხატავენ“?.. მეორეც კია — ზამთარი მოდის და მგონი ასეთი მისამღერი გაჩნდეს: დარჩი სკოლის ცხოვრებაში კვლავ იმედად ანდა ბურჯად, ტყავის ქურქი წამოისხი, არ შეგცივდეს, მანდატურ-ჯან (თუ ქურქიც მოექცა უნიფორმაში...).

შემდეგ იმედგაცრუებას გირაოთი ორი დაკავებული სამხედრო მაღალჩინოსნის გამოშვებას „ვუმადლი“. მაგ გიგი კალანდაძისა (მიაქციეთ ყურადღება, როგორი მრავლობაა მავნე გიგიგოგასი...) და ზურაბ შამათავას იმდენი და ისეთი დანაშაული თუ აქვთ ჩადენილი, 10000-10000 ლარად გამოისყიდება? კორუფცია დავამარცხეთო, გავიძახით და ამ დროს „под залог“ განთავისუფლება ქრთამის სახეობა ხომ არ არის? ვაითუ ცოტა ხნის მერე ბაჩო ახალაიაც გამოუშვან ვთქვათ, 80 000 ლარად და მაშინ? შესაბამის სამსახურთა ამგვარ „საგირაო“ პოლიტიკას „ძველბიჭურ“ ენაზე, მგონი, ქვეშიდან გამოსვლა ჰქვია... ნაცცოდვილები თუ ჯერ ძლივს „აიყვანეს“ და მერე „განლარებითა“ და განვადებით გაუშვეს, ეგ რა გამოვიდა? რა და, თავზე ხელის გადასმა ხომ არა? საზოგადოებას გული ხომ არ აუცრუვდება პოსტნაცუმ სამართალზე და ცოდვილ ნაცებს, პირიქით, გული ხომ არ მიეცემათ? აკი მთავნაცმა და შეთავსებით, უმაღლესმა მთავარსარდალმა კაი ომგადახდილი გმირივით და საზოგადოებრივ აზრთან მორიგი დაპირისპირებით, ხაზგასმით გამომწვევად მისცა უმალვე აუდიენცია „გამოკავებულ“ ღენერალ გიგის... მოკლედ „რაც შემოიღეს რაღაც გირაო, დგას სამართალი თავდაყირაო“...

და კიდევ, ბოლოს, პოსნაცუმ თავდაცვის მინისტრს უნდა გამოვეხმაურო მე, ტელეეკრანით „აკალმებული“: ირაკლი-ბატონიც ხოტბას ასხამს ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების მისიას — იქაო, ჩვენი სამხედროები საქართველოს უსაფრთხოებას იცავენო, ინტერნაციონალურ ვალს იხდიანო. აბა სად ავღანეთი, სად ჩვენი უსაფრთხოება, ეს როდემდე უნდა „გვაჭამონ“. მსოფლიოს ვეშაპ ქვეყნებს რაღაც არ ედარდებათ ინტერნაციონალური ვალი და იმ მარადიულად „ცხელი“ ავღანეთიდან თავიანთი ჯარები გამოჰყავთ, ჩვენ კი შეგვყავს და შეგვყავს არამკითხულად, ვისი ტიკი-ტომარა ვართ, ძია სემისა?.. არა სჯობს, ჯერ **ნაციონალური** (ნაცურში არ ავურიოთ!) ვალის მოხდა ვისწავლოთ და **ინტერნაციონალურზე** მერე „გადევიაროთ“... ასეა ეს, ჩემი პრიმიტიული ფიქრით, ირაკლი-ბატონო...

აი, ამნაირი პოსტნაცუმ სიტუაციის გამო „გავიმამაცურნე“ მკლავი და კალამი, ამგვარმა „მიმდინარე“ ამბებმა გამხადა ტელეეკრანით აკალმებული...

**ბერდია ბედოიძე**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## დაიჯესტი

### ქეითი, პიპა, ვიკი... და ბებერი კარლი



**მაღალი მოდის ცნობილი სახლის „შანელის“ 78 წლის კრეატიულმა დირექტორმა, მუდამ მოუსვენარმა კარლ ლაგერფელდმა ცოტა ხნის წინათ მომღერალ ადელს „ქონის გროვა“ უწოდა, თუმცა, აგორებული სკანდალის შემდეგ საჯაროდ ბოდიში მოუხადა. ახლა კი, როგორც ჩანს, ინგლისის სამეფო ოჯახის წევრებზე გადაერთო.**

დიდი ბრიტანეთის ტახტის რიგით მეორე მემკვიდრის, უფლისწულ უილიამის მეუღლე, კემბრიჯის ჰერცოგინია ქეითი საბედნიეროდ, მას სავსებით „აკმაყოფილებს“: ლაგერფელდის აზრით, „მას მომხიბლავი სილუეტი“ აქვს და, საერთოდაც, იგი ეტრფის რომანტიკულ ლამაზმანებს. ქეითის და, პიპა მილდტონი კი დიზაინერს აღიზიანებს, რის შესახებ განაცხადა კიდეც: „არ მომწონს მისი სახე. იგი ხალხს მხოლოდ ზურგით უნდა ეჩვენოს!“

პიპასგან განსხვავებით შვებით შეიძლება ამოისუნთქოს ვიქტორია ბექჰემმა — მისით ბებერი კრიტიკოსი ლაგერფელდი დიდად კმაყოფილია: „ოთხი მშობიარობის შემდეგ მას უზადო ტანი აქვს, რომლის მსგავსით ბევრი ვერ დაიტრაბახებს. იგი ძალიან დისციპლინირებულია!“

### ფუკუსიმას „შვილები“

**იაპონიაში ატომურ ელექტროსადგურ „ფუკუსიმა-1“-ზე მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად მომხდარი ავარიის შედეგად იქაურ მწერებში ფიზიკური ანომალიების რიცხვმა მკვეთრად იმატა.**

მეცნიერები შოკში არიან: მტრედა პეპლები ერთიანად დამახინჯდნენ — თვალებთან ჩაღრმავებები გაუჩნდათ, ულვაში დაუმოკლდათ, პირიც კი მოეღრიცათ... თანაც მწერები არა მარტო გარეგნულად შეიცვალნენ — ყოველ მესამეს შთამომავლობის ყოლის უნარი დაეკარგა.

ბიოლოგები დარწმუნებული არიან: **მუტაციების მიზეზია ატომური ელექტროსადგურ „ფუკუსიმა-1“-ზე მომხდარი ავარია,** რომელიც 2011 წლის მარტში მოხდა.

— უბედურების დროს ამ პეპლების მუხლუხოები ატომური ელექტროსადგურის მიდამოებში ნიადაგში იზამთრებდნენ, — ამბობს გამოკვლევის ხელმძღვანელი, რიუკიუს უნივერსიტეტის სწავლული ძეძი ოტაკი, ხოლო რომ გამოიღვიძეს, დასხივების დიდი დოზები მიიღეს გარედან, შემდეგ კი შიგნიდან, რადგან იმ ფოთლებს ჭამდნენ, რომლებზეც „ფუკუსიმადან“ ამოფრქვეული რადიონუკლიდები ილექებოდნენ.



პეპლების მუტაგენური ამბავი ფუკუსიმას პრეფექტურაში ერთეული შემთხვევა როდია: შარშან მაისში, ელექტროსადგურიდან 30 კილომეტრის მოშორებით... უყურებო თეთრი ბოცვერი დაიბადა.

ისმება კითხვა: **რამდენად სახიფათოა მუტანტების შემოსევა კაცობრიობისთვის?**

— დასხივების შედეგად მუტაციური ცვლილებები მწერებში ძალიან ხშირია, თაგვებსა და ზოგჯერ სხვა ცხოველებში ის რამდენადმე იშვიათად გვხვდება, ხოლო ადამიანების გენეტიკურ აპარატში იგი პრაქტიკულად არც ჩანს, — ამბობს რუსეთის ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, პროფესორი ადოლფ



ვაინსონი. — **ადამიანისთვის მუტანტ-მწერთა ან ცხოველთა გაჩენა საშიშროებას არ წარმოადგენს** თუნდაც იმის გამო, რომ მომავალი პეპლების მუხლუხოები, ისევე, როგორც ყველა ნაყოფი, ნებისმიერ გარეშე ზემოქმედების მიმართ უაღრესად მგრძნობიარენი არიან. ამას კი გენეტიკასთან საერთო არაფერი აქვს, ამიტომაც დიდია ალბათობა, რომ ისინი უშთამომავლოდ დაიხოცებიან.

### „იროკეზიანი“ გიჟმაჟი და სხვები



**ცნობილია, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გამოცემა „გინესის რეკორდების წიგნი“ ყოველწლიურად გამოიცემა და, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ მასში წლიდან წლამდე უცვლელი რჩება, ვთქვათ, დედამიწაზე ყველაზე დიდი ან ყველაზე სწრაფი ცხოველი და ა.შ., ბევრიც სიახლე ჩნდება.**

ისმება კითხვა: რისთვის ცდილობს ხალხი გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრას? ფულადი ჯილდოსთვის? სულაც არა, რადგან რეკორდსმენებისთვის არანაირი პრემიები გათვალისწინებული არ არის. ადამიანებს სახელის მოხვეჭის სურვილი ამოძრავებს. საზოგადოებრივი ყურადღების ფოკუსში მოხვედრა სავსებით გასაგები სურვილია, თუმცა კი ზოგჯერ ის ჰიპერტროფირებულ სახეს იღებს. მაგალითად, როცა მავანი 104 წლის ასაკში პარაშუტით ხტება, ზოგი წლების მანძილზე ცენტნერობით გელს ახარჯინებს პარიკმახერებს მსოფლიოში ყველაზე გრძელი „იროკეზის“ დასაყენებლად, ზოგი კი, ფაქტობრივად, მთელ სხეულს (99 პროცენტს!) სვირინგით „იმშვენებს“.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### აგრარული უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომლები კახა ბენდუქიძეს პროკურატურაში უჩივიან!

„საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის განადგურება და საექსპერიმენტო მიწების გაყიდვა გრძელდება, რაც ქართული რესურსების დეგრადირებას იწვევს. ამით ხეირობს ფეოდალი კახა ბენდუქიძე, რომლის უკანაც „ნაცმოძრაობა“ დგას“, — აცხადებს აგრარული უნივერსიტეტის განთავისუფლებული 84 პროფესორ-მასწავლებელი.

**„ქართული სიტყვა“**

### პროკურატურა გირგვლიანისა და ზურაბ ჟვანიას საქმეების გამოძიებას იწყებს

პროკურატურაში „ნადირობის სეზონი“ გახსნილად გამოცხადდა. იქ შესულია მასალები, რომლებსაც მაღალჩინოსნების დაპატიმრებები მოჰყვება. ამჯერად საგამოძიებო ორგანოების ანტირესურსების სფერო საააკაშვილის ყოფილი მაღალჩინოსნები და გახმაურებული საქმეები იქნება. დასაჭერთა „შავ სიაში“ არიან — გირგვლიანისა და ზურაბ ჟვანიას საქმეზე — საააკაშვილი, ადეიშვილი, მერაბიშვილი და მაღალჩინოსნები, 7 ნოემბრის საქმეზე — მერაბიშვილი, ადეიშვილი, კოდუა და ა. შ.

**„ვერსია“**

### სად წაიღო გიგა ბოკერიამ 22 მილიონი!

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური დაინტერესდა, რაში დაიხარჯა 2012 წლის ბიუჯეტიდან ეროვნული უშიშროების საბჭოსთვის გამოყოფილი 22 მილიონი ლარი.

— საქართველოში საგადასახადო ოაზისები აღარ იქნება. მორჩა ის პერიოდი, როდესაც ვინმეს ამოწმებდნენ, მაგრამ უკან ზარის განხორციელების შემდეგ გამოდიოდნენ. ყველა გადამხდელი იქნება შემოწმებული.

**„ახალი თაობა“**

### ვინ შეჭამა „დინამო“?

რამდენიმე დღის წინ თბილისის „დინამოს“ ყოფილმა მესაკუთრემ, ამჟამად კი ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბ „ვიტესის“ მფლობელმა მერაბ ჟორდანიამ განაცხადა, რომ „დინამოს“ ამჟამინდელი და ყოფილი მესაკუთრეები მოლაპარაკებების მაგიდას უნდა მიუსხდნენ და კლუბის იურიდიული მფლობელის ვინაობა გაარკვიონ. ინტერვიუში შსს-ს ყოფილი 7 გენერალიც ახსენეს, პროკურატურა უნდა დაინტერესდეს „ვარდოსნების“ მიერ მერაბ ჟორდანიას ორჯერ დაკავება-გამოშვების მიზეზითაც.

**„ყველა სიახლე“**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

**ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი 20-გვერდიანია**

## კადრი



## ანეკდოტები

**ბავშვობაში** სიბნელის მეშინოდა. ახლა კი, როდესაც დენის გადასახადს ნაგავიც მიაბეს და ელექტროენერგიით სარგებლობისთვის გადასახდელი თანხის ქვითარი მომდის, სინათლის მეშინია.

* * *

**გაფითრებული** მოშე, ძლივს რომ სუნთქავს და გული ხელით უჭირავს, კარუსელზე ზედიზედ მეათედ ადის.



— თუ ასე ცუდად ხარ, იქნებ, მეტი არ დაჯდე? — ეცოდება იგი ძმაკაცს.

— რას ამბობ, კაცო, ამ კარუსელის პატრონს ჩემი ვალი აქვს და სხვანაირად როგორ ამოვიღო ჩემი ფული?

* * *

— **რატომ** იმარჯვებენ უფრო ხშირად სულელები?

— იმიტომ, რომ ისინი უფრო ხშირად თამაშობენ უმრავლესობაში.

* * *

**მესიჯი** — სიდედრს: „ყურმილს ნუ აიღებ — დღეს უნდა დავთვრე!“

* * *

**ხანძრისას** ლიფტით ნუ ისარგებლებთ, ისარგებლეთ წყლით!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com